კლასტერების ფუნქციონირების საზღვარგარეთული გამოცდილება

შინაარსი

- 3.1. კლასტერები მაღალგანვითარებულ ქვეყნებში
- 3.2. კლასტერები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში
- 3. 3. გლობალიზაციის პირობებში საზღვარგარეთის ქვეყნების კლასტერული პოლიტიკის გამოცდილება

3.1. კლასტერები მაღალგანვითარებულ ქვეყნებში

მსოფლიოში კლასტერების აქტიური განვითარება მიიჩნევა ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიან მიმართულებად. მაგალითად, ევროპაში ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცების დეკლარაციასა (1997 წ.) და სამოქმედო გეგმაში, რომელშიც დეტალურადაა გადმოცემული დეკლარაციის სულისკვეთება, ქსელებისა და კლასტერების ბაზაზე ახალი საწარმოო სისტემების შექმნა აღიარებულია, როგორც ევროპული თანამშრომლობის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მიმართულება.

მეწარმეობის განვითარების კლასტერული კონცეფცია ფოკუსირდება რეგიონის კორპორაციულ სტრუქტურებს, საინვესტიციო, საშუამავლო, სამეცნიერო, სასწავლო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ურთიერთკავშირზე. კლასტერული კონცეფციის არსი მდგომარეობს იმ რეგიონების კონსოლიდებული პოტენციალის რეალიზაციაში, რომელთა ეკონომიკური ტერიტორია წარმოადგენს ევროპული თანამშრომლობის განვითარების საფუძველს, ხოლო რეგიონული ეკონომიკის პრობლემების გადაწყვეტა – ევროპული თანამეგობრობის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას.[1]

ევროკავშირში ყველანაირ ზომას მიმართავენ ევროპის მრეწველობის ინოვაციურობის ასამაღლებლად. ამ მიზნით, ეროვნულ დონეზე რეალიზებულ იქნა ინოვაციურ კლასტერებს შორის კოოპერაციის განვითარების რამდენიმე პროგრამა. ევროკავშირი კლასტერულ პოლიტიკას განიხილავს, როგორც დარგებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის, ინოვაციური პოტენციალის ამაღლების, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. სამრეწველო პოლიტიკა ასევე ინოვაციური უნდა იყოს და შეიცავდეს რეგულირების უფრო ლიბერალურ ინსტრუმენტებს, რომელთაც ძალუძთ მრეწველობისათვის მეტი თავისუფლების მიცემა საკუთარი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების ძიებაში.[2]

თავდაპირველად, ფირმათაშორისი თანამშრომლობისადმი უნიფიცირებული მიდგომა შემუშავებულ იქნა **დანიაში** 1989-1990 წლებში. პროექტის მოსამზადებლად 3 წლის განმავლობაში გამოიყო 25 მლნ დოლარი, რათა განესაზღვრათ ქვეყნის პერსპექტიული ქსელური სტრუქტურები. პროგრამის თანახმად, გრანტები გაიცემოდა შემდეგი ფაზების რეალიზაციისთვის: პროგრამის კონცეპტუალიზაცია, განვითარების დაგეგმვა, კოოპერაციის ინიციატივების განხორციელება.

პირველ ეტაპზე რეგიონულ ჭრილში გამოკვლეულ იქნა სამრეწველო კომპლექსები, სქემით – „მოთხოვნა-მიწოდება“, ოთხ დარგში: სოფლის მეურნეობა, საფეიქრო წარმოება, საოფისე მოწყობილობების დამზადება, გარემოს დაცვის საშუალებების წარმოება. შემდგომ გაანალიზდა ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის მექანიზმები სამ სექტორში: ელექტრო-სამედიცინო აპარატურა, ავეჯი, ფარმაცევტიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების მოცუ-

[1] **Асаул, Л. Н.** Строительный кластер -новая региональная производственная система (Электронный ресурс) // Экономика строительства. 2004. № 6. Режим доступа: http://www.mbrk.ru

[2] Кластеры конкурентоспособности (Электронный ресурс) // Режим доступа: // http://subcontract.ru.

ლობით აგროსამრეწველო კომპლექსი აღემატება ეკონომიკის ყველა დანარჩენ სექტორს ერთად აღებულს, და უმნიშვნელოვანესია სამომხმარებლო ბაზრისა და ინვესტიციური პოტენციალის პოზიციიდან გამომდინარე. მასში განსაკუთრებულ როლს ასრულებს „რძის ვერტიკალი“ – რძის გადამუშავებიდან დაწყებული და ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების მომწოდებლებით დამთავრებული. ბიზნესის განვითარების დანიის საბჭო, როგორც მთავრობის წინაშე კლასტერიზაციის კონცეფციის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანო, აღნიშნულ სფეროში არაერთი ახალი პროექტის ინიციატორი გახდა. კვლევებში მონაწილეობდნენ ბიზნესისა და მრეწველობის სამინისტრო, კვლევების სამინისტრო, განათლების სამინისტრო, შრომის სამინისტრო, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების სააგენტო, ასევე, ფინანსთა სამინისტრო.

1992 წელს კლასტერებში გაერთიანებული იყო ქვეყნის ყველა ფირმის 40%, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ექსპორტის 60%-ს. 1997 წელს წლიურ ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ კვლევებში მონაწილეობდა ფირმების, ორგანიზაციების, ინსტიტუტების, სამინისტროების 513 ანალიტიკოსი. ისინი გაერთიანებული იყვნენ კონკრეტულ სექტორებში სპეციალიზებულ 35 მუშა ჯგუფში და წარმოადგინეს 1522 წინადადება, მათგან 66 – უკვე რეალიზებული. საწარმოები ისახავდნენ პრობლემათა ფართო სპექტრს: ცვლილებებს კანონმდებლობაში, ადმინისტრაციული მართვის სტრუქტურებში, ასევე, სამინისტროების საბიუჯეტო ასიგნებებში. ჩატარებულმა სამუშაოებმა დანია ეკონომიკის კლასტერზაციაში მსოფლიო ლიდერად აქცია (დღეისათვის ფუნქციონირებს 29 წამყვანი კლასტერი).[1]

კლასტერიზაციისადმი დანიური მიდგომა, დაახლოებით, ბრიტანული მიდგომის იდენტურია. აქ გამოვლენილია 13 რეგიონული და 16 ეროვნული ე. წ. „კომპეტენტური“ კლასტერი.

იდენტიფიკაცია განიხილებოდა, როგორც დანიური კლასტერების მოთხოვნებზე ადაპტირებული პოლიტიკური სტრატეგიის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი. რეგიონული კლასტერები ერთიანდებიან როგორც მრეწველობის ტრადიციული დარგების (ქსოვილის, ტანსაცმლის, ავეჯის წარმოება, მებაღეობა), ასევე ახალი ტექნოლოგიების გარშემო.[2]

გერმანიაში ტერიტორიების განვითარებას ხელს უწყობს ფედერალური ორგანო, რომლის შესაბამისადაც მიწებს აქვთ მეტი დამოუკიდებლობა და ახორციელებენ განვითარების საკუთარ პროგრამებს თავიანთი სახსრებით. გერმანიაში მუშაობს 3 საუკეთესო მსოფლიო კლასტერი და მაღალი ტექნოლოგიების 3 კლასტერი, რომელთაც მიღებული აქვთ საპატიო წოდება „XXI საუკუნის სილიკონის ველი“, – ეს არის მიუნხენი, ჰამბურგი, დრეზდენი.[3]

გერმანიაში ფედერალური მიწების უმეტესობას თავიანთ ტერიტორიაზე აქვს საავტომობილო კლასტერები, თუმცა ქვეყნის გაერთიანების შემდეგ შეინიშნება საავტომობილო მრეწველობის საწარმოების გადაადგილების ტენდენცია აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიისკენ. ეს განპირობებული იყო არა მხოლოდ წარმოების დაბალი დანახარჯებით დასავლეთ გერმანიასთან შედარებით, არამედ საავტომობილო მრეწველობის განვითარებისთვის სასურველი ინფრასტრუქტურის არსებობით. კერძოდ, აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკაში წამყვან როლს ასრულებს მცირე და საშუალო საწარმოები თანამშრომელთა მცირერიცხოვანი შტატით, ხოლო კვალიფიკაციის დონე და საგანმანათლებ

ლო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს წარმოებას ხარისხიანი სამეცნიერო კვლევებით. ამასთან, „ფსონი“ იდება ავტოკომპონენტების მომწოდებელთა განვითარებაზე.

აღმოსავლეთ გერმანიის საავტომობილო კლასტერი იქმნებოდა 2004 წელს ხუთი ფედერალური მიწის მთავრობათა ინიციატივით: ბერლინ-ბრანდენბურგის, ტიურინგიის, მეკლენბურგ-წინა პომერანიის, საქსონიისა და საქსონია-ანჰალტის. კლასტერის შემადგენლობაში (ზემოთ აღნიშნული ტერიტორიების ფარგლებში) შევიდა ავტომობილების წარმოებისა და მაკომპლექტებელი კომპანიები, სერვისცენტრები, კვლევითი ინსტიტუტები და

[1] Новые формы организации инновационного процесса (Электронный ресурс)//Режим доступа://http://subcontract.ru.

[2] **Скоч, Александр.** Международный опыт формирования кластеров (Электронный ресурс)/|Режим доступа://http://intelros.ru.

[3] **Руднева, П. С**. Опыт создания структурных кластеров в развитых странах (Электронный ресурс / Экономика региона. 2007. № 18. Ч.2 (декабрь) Режим доступа: http//journal.vlsu.ru

სხვადასხვა გაერთიანებები. კვლევები ტარდებოდა ორი წლის განმავლობაში, პარალელურად მუშავდებოდა კლასტერის განვითარების პროგრამა.

დღეისთვის კლასტერის შემადგენლობაში შედის ავტომობილების ისეთი მწარმოებლები, როგორიცაა: BMW, DaimlerChrysler, Opel, Porshe, VW, makompleqtebeli da mowyobilobebis momwodeblebi: Schweissanlagen GmbH, MITEC Automative AG, Schnellecke Group, Siemens VDO Automative AG, TRIMET Aluminium GA, გერმანიის ინდუსტრიული ბანკი, ფრაუნჰოფერის სახელობის ინსტიტუტი, დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლაიფციგის ვაჭრობის უმაღლესი სკოლა და სხვ.

კლასტერის შექმნის მიზანი მდგომარეობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და აღმოსავლეთ გერმანიის საავტომობილო მრეწველობის განვითარებაში. საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია – ეფექტიანი კომუნიკაციების დამყარება კლასტერის მონაწილეებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს შორის; კომპანიების წარდგენა საერთაშორისო არენაზე, ასევე ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერა. აღმოსავლეთ გერმანიის კლასტერის ამბიციები სცდება რეგიონის ფარგლებს. ის იკავებს მაღალტექნოლოგიური საავტომობილო პროდუქციის ევროპული ცენტრის პოზიციას და მისი მონაწილეები გეგმავენ რეგიონში ცენტრალური საერთაშორისო სამეთვალყურეო ცენტრის შექმნას, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს მიაწვდის ყველანაირ ინფორმაციას ავტომობილებისა და საავტომობილო კომპონენტების წარმოების შესახებ.[1]

კლასტერებმა იმპულსი მისცეს იმ ქვეყნების რეგიონების განვითარებას, რომლებიც იყენებდნენ მათ პრინციპებს. განვითარების შესამჩნევი ტემპი შეინიშნება ავსტრიის ეკონომიკაში, სადაც ამოქმედდა ტრანსსასაზღვრო კლასტერები გერმანიასთან, იტალიასთან, შვეიცარიასთან, უნგრეთთან, გააქტიურდა კავშირები საფრანგეთთან და დიდ ბრიტანეთთან. უმნიშვნელოვანესი გახდა კვლევით ინსტიტუტებსა და სამრეწველო სექტორს შორის კავშირების განვითარების სტიმულირების პოლიტიკა, ინოვაციურ პროგრამებში მარეგულირებელი ბარიერების შემცირება, კლასტერების სპეციალიზაცია და კონკურენტუნარიანობის ცენტრების ჩამოყალიბება. მამოძრავებელი ძალა გახდა ინოვაციურ-კვლევითი პროგრამა (TIP), რომელიც შემუშავდა XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში.[2]

TIP ერთდროულად იყო ინოვაციური, კვლევითი და კონსალტინგური პროგრამა, რომელიც შემუშავდა ფედერალური მთავრობის ინიციატივით და სრულდებოდა ეკონომიკურ კვლევათა ავსტრიის ინსტიტუტის მიერ ავსტრიის კვლევით ცენტრთან კოოპერაციაში.

TIP-ის მიზანს წარმოადგენდა ინფორმაციის შეგროვება, მისი დამუშავება, ტექნოლოგიური ცვლილებებისა და ინოვაციათა ეროვნულ სისტემაზე მათი ზემოქმედების გათვალისწინებით აგებული რეკომენდაციების შემუშავება. პირველი ეტაპის ამოცანების შესაბამისად, მაკროდონეზე შეისწავლებოდა სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტების ურთიერთქმედება საწარმოებთან; რეგიონების მეზოდონეზე – სტრუქტურული წინსვლა ეკონომიკაში; მიკროდონეზე – ფირმების ქცევა. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შემუშავდა 1996-1999 წლების ღონისძიებები, რომელთაც ეწოდა „გზა ინფორმაციულ საზოგადოებისა და ცოდნის საზოგადოებისკენ“. პროგრამა მოიცავდა შემდეგ მოდულებს: ინოვაციათა ეროვნულ სისტემას; მწარმოებლურობას, ზრდასა და დასაქმებას; რეგულირებას, როგორც ტექნოლოგიური პოლიტიკის ინსტრუმენტს; კონსულტირებას ტექნოლოგიური პოლიტიკის დარგში.

ინდუსტრიას ვერ ექნება მომავალი, თუკი ის არაა საქმიან კავშირში მეცნიერებასთან, არ ავითარებს წარმოებას, მომარაგებასა და რეალიზაციას. კლასტერული მოდელის საფუძველზე რაციონალური და ეფექტიანი განვითარების კონკრეტული მაგალითია ავსტრიაში ავტოსამშენებლო ინდუსტრიის აღმავლობა. 2000 წელს შტირიისა და ზემო ავსტრიის მიწების ორ კლასტერში კონცენტრირებულ საავტომობილო საწარმოებში მომუშავე 30000-მა პირმა გა-

[1] **Рябченюк, Ю.** Автомобильные кластеры в системе региональной политики (Электронный ресурс)//Автобизнес. 2006. Декабрь.

[2] **Горшенева, О. В.** Кластеры: сущность, виды, принципы организации и создания в регионах//Экономический вестник Ростовского государственного университета. 2006. № 4. Ч.2.

მოუშვა 8,1 მლრდ დოლარის პროდუქცია, ანუ მთელი ქვეყნის წარმოების მოცულობის 10%-ზე მეტი.

შტირიის საავტომობილო კლასტერში შედის 110 ფირმა. ტექნოლოგიური ჯაჭვი ვრცელდება ნედლეულის მოპოვებასა და გადამუშავებაზე, საკვანძო საწარმოო პროცესებზე, ლოგისტიკასა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე, ასევე წარმოების ნარჩენების გადამუშავებაზე. მიღწეულია პარტნიორული შეთანხმება 200-ზე მეტ კომპანიასთან. შტირია იქცა საავტომობილო მშენებლობის საერთაშორისო ცენტრად, წარმოიქმნა სუბმიმწოდებლების დაქსაქსული სფერო. ხდება გამოშვებული პროდუქციის მიწოდება 40 საავტომობილო მარკისთვის, რეგიონში ყოველწლიურად აიწყობა 150000 ავტომობილი. 1999 წელს ზემო ავსტრიის მიწის 307-მა ფირმამ, შტირიის ფირმების ანალოგიურად, გადაწყვიტა გაერთიანება. რეგიონში აღნიშნული დარგის ფირმების 95%-ის გაერთიანების შემდეგ კლასტერმა დაიწყო სწავლების ორგანიზება (კვალიფიკაციების ასამაღლებელი კურსების, სემინარების, კომპანიების შიდა სწავლების უზრუნველყოფა), საერთო კოოპერაციული პროგრამებისა და პროექტების შემუშავება, ტექნოლოგიების გადაცემის, მარკეტინგული კვლევის სხვადასხვა სახის ორგანიზაციების შექმნა. უმთავრესი რგოლი გახდა TMG კომპანია, რომელიც შეიმუშავებს პროვინციის ტექნოლოგიურ პოლიტიკას. 2000 წელს ამ კლასტერში შევიდა დიზელების წარმოების კომპანიები. 2001 წლის დასასრულისთვის კლასტერში თავი მოიყარა მაღალტექნოლოგიურმა ინდუსტრიულმა ჯგუფმა, რომელიც მოიცავდა 350 სუბმიმწოდებელს; აქ მუშაობდა 80 ათასი ადამიანი, გაყიდვების მოცულობამ შეადგინა 1,5 მლრდ დოლარი.[1]

ავსტრიაში გამოვლენილი 76 რეგიონული კლასტერი, სპეციალიზაციიდან გამომდინარე, პირობითად დაიყო 6 კატეგორიად: სამრეწველო, ტექნოლოგიურ, საგანმანათლებლო, საექსპორტო, შერეულ, მომსახურების სფეროს კლასტერებად.[2]

ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზისადმი კლასტერული მიდგომა ძალზე პოპულარული გახდა **ფინეთში** მას შემდეგ, რაც ის პირველად გამოიყენეს 1991-1993 წწ. ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკის შესამუშავებლად. კლასტერების განვითარებასთან დაკავშირებული დისკუსიები უფრო ადრე დაიწყო და ეფუძნებოდა 1990 წელს გამოსულ მ. პორტერის წიგნს – „ქვეყნების კონკურენტული უპირატესობანი“. პორტერის თეორიის გავლენით, ფინეთში ინიცირებულ იქნა მასშტაბური კვლევა, რომლის საბოლოო ანგარიში გამოქვეყნდა 1995 წელს სახელწოდებით – „Advantage Finland -The Future of Finnish Industries“ („ფინეთის უპირატესობანი – ფინეთის მრეწველობის მომავალი“). აღნიშნულ ნაშრომში გაანალიზებულია სტრუქტურა, აღწერილია განვითარების ტენდენციები და შეფასებულია ფინეთის კლასტერების კონკურენტუნარიანობის პერსპექტივები.[3]

გარდა ამისა, მოცემული პროექტის ფარგლებში, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ მოამზადა დირექტივები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა და დამტკიცდა ეროვნული სამრეწველო სტრატეგია, რამაც შესაძლებელი გახადა მაკროეკონომიკური რეგულირებიდან კლასტერების განვითარებაზე დაფუძნებულ სამრეწველო და ტექნოლოგიურად კონკურენტულ პოლიტიკაზე გადასვლა.

გაანალიზდა ყველაზე პერსპექტიული დარგები. კრიტერიუმი გახდა მდგრადი ექსპორტის არსებობა და უცხოური ინვესტიციების ნაკადი. განისაზღვრა „კლასტერული კარკასი“, რომლის შედგენას წინ უსწრებდა დიდი და შრომატევადი სამუშაო.[4] შედგენილ იქნა სატყეო მეურნეობის, ფერადი მეტალურგიის, ენერგეტიკის, ტელეკომუნიკაციების, ეკოლოგიის, ჯანდაცვის, ტრანსპორტის, ქიმიის, მშენებლობის, სურსათის კლასტერული რუკები.[5]

ფინეთის კლასტერების წამყვანი ფირმების რიცხვში შედის მთელი რიგი მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების საწარმოო

[1] Новые формы организации инновационного процесса (Электронный ресурс)//Режим доступа: http://subcontract.ru.

[2] **Скоч, Александр.** Международный опыт формирования кластеров (Электронный ресурс) // Режим доступа: // http://intelros.ru.

[3] **Филиппов, П.**Кластеры конкурентоспособности -опыт развития кластеров Финляндии (Электронный ресурс) // Режим доступа: http:// subcontract.ru.

[4] **Скоч, Александр**. Международный опыт формирования кластеров (Электронный ресурс) // Режим доступа: // http://intelros.ru.

[5]**Руднева, П. С.** Опыт создания структурных кластеров в развитых странах (Электронный ресурс) // Экономика региона. 2007. № 18. Ч.2 (декабрь) Режим доступа: http// journal.vlsu.ru. gv. 15

და სერვისული ქვედანაყოფები, ისეთი, როგორიცაა: „Eriksson", „Siemens", „ujitsu", „IBM". მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ ფინეთში წარმოებებისა და კვლევითი ცენტრების შექმნა მიზნად ისახავს არა მხოლოდ მომხმარებელთან მიახლოებას, არამედ მეტწილად ორიენტირებული კვალიფიციური სამუშაო ძალის უპირატესობათა და ეროვნული სისტემის შესაძლებლობათა გამოყენებას.

ამჟამად სატყეო, საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციური კლასტერები ფინეთის ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვანესია. ისინი უზრუნველყოფენ ექსპორტის ძირითად მოცულობას და ქმნიან მშპ-ის მნიშვნელოვან ნაწილს. სატყეო კლასტერის ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი კომპანიები უკვე დიდი ხანია, ახდენენ განვითარების გლობალური სტრატეგიის რეალიზაციას, აქტიურად იძენენ კომპანიებს საზღვარგარეთ და აქვთ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შრომის მწარმოებლურობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მთელს მსოფლიოში.

საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების კლასტერმა (უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, წარმატებული სამრეწველო პოლიტიკის წყალობით, გაიარა გზა „პოტენციური კლასტერების" კატეგორიიდან „ძლიერ კლასტერებამდე"), როგორც რესურსორიენტირებული, „მომწიფებულ" ბაზარზე მომუშავე სატყეო კლასტერის ალტერნატივამ, სრულად გაამართლა მოლოდინი და დღეისთვის მასში დასაქმებულია 1,4-ჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე სატყეო კლასტერში, თუმცა კლასტერის პროდუქციის უმრავლესობა იწარმოება მსოფლიო კორპორაციული კლასტერების სისტემაში მაღალი დონის ერთადერთი კომპანიის „Nokia"-ს მიერ. მას აქვს ამ სექტორისთვის შექმნილი განათლებისა და ინოვაციური სისტემა, ურთიერთდაკავშირებულ წარმოებათა და მომსახურებათა ქსელი და ა. შ., ასევე დამოუკიდებელი ფასეულობა და ქმნის პირობებს მდგრადი კონკურენტული უპირატესობების მოპოვებისთვის. აღნიშნული კლასტერის განვითარების ტემპები 2015 წლამდე შეადგენდა 8,1%-ს წელიწადში, რაც 2,5-ჯერ და მეტჯერ აღემატება მთლიანად ეკონომიკის განვითარების ტემპებს (3,2%).

მეტალურგიული და მანქანათმშენებლობის კლასტერები ასევე საკმაოდ მაღალგანვითარებულია ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიცაა ფინეთი. მეტალურგიული კლასტერის საბოლოო პროდუქციაა ფოლადის სხვადასხვა სახეობისგან დამზადებული მაღალტექნოლოგიური დეტალები მანქანათმშენებლობისთვის. მანქანათმშენებლობის კლასტერი კლასტერების ურთიერთშეღწევადობის საუკეთესო მაგალითია. მისი ძირითადი სპეციალიზაციაა მოწყობილობათა წარმოება სატყეო მრეწველობისთვის, ენერგეტიკისთვის, მეტალურგიისა და სამშენებლო დარგისთვის, ასევე ტრანსპორტის, ანუ ისეთი მიმართულებებისთვის, რომლებიც, განმარტების თანახმად, შედიან შესაბამისი კლასტერების შემადგენლობაში, თუმცა სპეციალიზებული მანქანათმშენებლობის ინტენსიურმა განვითარებამ გამოიწვია დამოუკიდებელი კლასტერის შექმნა უამრავი სპეციალიზებული მომწოდებლით, მომსახურებისა და ინჟინერინგული კომპანიით, კვლევითი და ინოვაციური ცენტრით. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან ფაქტორად და მოწყობილობათა მწარმოებლების განვითარების მამოძრავებელ ძალად რჩება მკაცრი შიგა მოთხოვნა, მანქანათმშენებლობის კომპანიები უკვე დიდი ხანია წარმოადგენენ აქტიურ პერსონაჟებს საერთაშორისო ბაზარზე. მაგალითად, ფინეთი ლიდერია ცელულოზა-ქაღალდის მაწარმოებელი მოწყობილობათა შექმნაში, იკავებს ცელულოზის წარმოების მოწყობილობათა მსოფლიო ბაზრის 40%-ს და ქაღალდის წარმოებისათვის მოწყობილობათა ბაზრის თითქმის

30%-ს. მეტალურგიული და მანქანათმშენებლობის კლასტერების კონკურენტუნარიანობის განვითარება მიიღწევა სპეციალიზაციის გაღრმავებისა და საბოლოო პროდუქციაში დამატებითი ღირებულების ამაღლებით. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ასეთი კლასტერებისთვის წარმოების მოცულობის საშუალო წლიურ ზრდას 3%-ის ოდენობით თითქმის 2015 წლამდე.

ენერგეტიკული კლასტერი, რომელიც აერთიანებს ნავთობისა და გაზის, ქიმიურ, ელექტროენერგეტიკულ, ინჟინერინგულ და ენერგომანქანათსამშენებლო კომპანიებს, ტრადიციულად ხასიათდება მაღალი ენერგოეფექტიანობით და გამოყენებული ტექნოლ-

ოგიების ეკოლოგიურობით. პროგნოზის თანახმად, მისი ზრდის საშუალო ტემპი იქნება 3,2% წელიწადში.

კვებისა და სამშენებლო კლასტერები, ასევე ჯანდაცვის კლასტერი, რომლებიც ორიენტირებულია შიგა ბაზრის მომსახურებაზე, მნიშვნელოვანია დასაქმების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მაგრამ უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში გაიზრდება უფრო ნელი ტემპით, ვიდრე ეკონომიკა მთლიანობაში. ბიზნესმომსახურებათა შედარებით ახალი კლასტერი კი, პირიქით, მეტად გაამყარებს თავის პოზიციებს ფინეთის ეკონომიკაში. ფინეთის კლასტერების შექმნის ისტორიისა და მათი განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციების კვლევამ ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება გამოავლინა.

ყველა შემთხვევაში კლასტერების თანამედროვე კონკურენტუნარიანობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ურთიერთდაკავშირებული ინსტიტუტებისა და დარგების სისტემის განვითარების მაღალი დონე, როგორც საბაზრო ურთიერთობებისა და ეფექტიანი კონკურენციის შედეგი. ეროვნული ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბება და კვალიფიციური კადრების ნაკადი განპირობებულია სახელმწიფო პოლიტიკით.

ექსპერტები მიანიშნებენ საინტერესო ფაქტის შესახებ: მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოების ეფექტიანი განვითარება და აქტიური ინოვაციები მიიღწეოდა იმ სექტორებში, რომლებიც განიცდიდა ბუნებრივი რესურსების ნაკლებობას. საკუთარი ენერგორესურსების ნაკლებობამ წარმოშვა მოთხოვნა ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებზე. ტყის რესურსების (ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებისათვის), ლითონების, ქიმიკატების შედარებითმა ნაკლებობამ სტიმული მისცა ნედლეულის გადამუშავების პროცესების გაღრმავებას. კვალიფიციურმა სამრეწველო პოლიტიკამ უზრუნველყო პერსპექტიული საბაზრო ნიშისა და საინვესტიციო პრიორიტეტების სწორი არჩევანი. მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში კლასტერების უმრავლესობისთვის მდგრადი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში ძირითად როლს შეასრულებს კორპორაციული სტრატეგიის ხარისხის ფაქტორი. კერძოდ, ოპერაციათა გლობალიზაცია, კონკრეტული რეგიონული ბაზრების მომხმარებლებზე ორიენტაცია, პროდუქციის სერვისული მდგენელის გადიდება. ინჟინერინგული მომსახურების ექსპორტი ახალ ტექნოლოგიებში ლიდერობის შენარჩუნებისას ისეთი კლასტერების სტრატეგიული განვითარების უმნიშვნელოვანესი ასპექტია, როგორიცაა საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო, სატყეო, ენერგეტიკული და მანქანათმშენებლობის კლასტერები.

გლობალური სტრატეგიის არსებითი მომენტი, რასაც აუცილებლად დაეყრდნობიან სატყეო, მანქანათმშენებლობისა და ენერგეტიკული კლასტერების კომპანიები, არის მზა პროდუქციისა და გამოყენებული ტექნოლოგიების ეკოლოგიურობა. მეტალურგიული კლასტერისთვის კორპორაციული სტრატეგიის ძირითადი მიმართულება, როგორც ჩანს, გახდება წარმოების მოქნილობის ამაღლება, ინვესტიციების ზრდა, შერწყმისა და შთანთქმის ხარჯზე, აგრეთვე კორპორაციული ალიანსები. სამშენებლო კლასტერისთვის, ასევე ჯანდაცვისა და ბიზნესმომსახურების კლასტერებისათვის მომავალი კონკურენტუნარიანობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი გახდება უწყვეტი ინვესტიციები, აგრეთვე მზარდი შიგა და საგარეო მოთხოვნა.[1]

იტალიაში განვითარდა ინდუსტრიული ოლქები. თავის წიგნში „მესამე ტალღა“ ო. ტოფლერმა მათ „XXI საუკუნის ტალღა“ უწოდა.

იტალიაში რეგიონული კლასტერების განვითარებისადმი ინტერესი ეყრდნობა ინდუსტრიული ოლქების განვითარების წარმატებულ გამოცდილებას. ეს რაიონები, რომლებიც უმთავრესად განლაგებულია ქვეყნის ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში, როგორც წესი, ხასიათდება ფირმების, ტრადიციული დამამუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოების კონცენტრაციის მაღალი ხარისხით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ინდუსტრიულ რაიონებში გაერთიანებულ ფირმებს სტაბილურად უფრო მაღალი შემოსავლიანობა და მწარმოებლურობა ახასიათებს, ვიდრე სხვა რაიონებში განლაგებულ ანალოგიურ საწარმოებს. 1981 წელს აღნიშნული რაიონები მო-

[1] **Филиппов, П.**Кластеры конкурентоспособности -опыт развития кластеров Финляндии (Электронный ресурс) // Режим доступа: http:// subcontract.ru.

სახლეობას სთავაზობდნენ 900 ათას სამუშაო ადგილს (იტალიის სამუშაო ადგილების 5,4%-ს) და წარმოების აღნიშნულ სფეროში სამუშაო ადგილების 8,6%-ს.[1]

იტალია კლასიკური მცირე ბიზნესის ქვეყანაა, სადაც ამჟამად 4 მლნ ფირმიდან მხოლოდ 2% მიიჩნევა მსხვილ საწარმოდ (მათში დასაქმებულია 1000-1000 და მეტი მომუშავე). სულ, იტალიაში, ფუნქციონირებს 200 ინდუსტრიული ოლქი, რომელიც აერთიანებს 60 ათას საწარმოს მასში დასაქმებული 600 ათასი ადამიანით, ხოლო, საწარმოო კოოპერაციის ურთიერთქმედებათა გათვალისწინებით, ინდუსტრიულ ოლქებში ფუნქციონირებს 1 მლნ-ზე მეტი მცირე და საშუალო საწარმო, რომლებიც სამუშაო ადგილებით 4-6 მლნ ადამიანს უზრუნველყოფს.

ინდუსტრიული ოლქების საწარმოები ამაღლებენ თავიანთ ტექნოლოგიურ დონეს, იწყებენ ექსპანსიას სხვა რეგიონებში. მაგალითად, ხილის გადამუშავებიდან ისინი გადადის მოწყობილობების დამზადებაზე კონსერვის წარმოებისათვის, გადამუშავების ფუნქციებს კი აკისრებენ სამხრეთის რეგიონებს. ფეხსაცმლის მწარმოებელი საწარმოები იწყებენ მისი წარმოებისთვის მოწყობილობების გამოშვებას. სამომხმარებლო ხასიათის პროდუქციის აწყობის ფუნქციები კი მესამე ქვეყნებს გადაეცემათ.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ შემდეგი ათწლეული იტალიისა და სხვა ქვეყნებისათვის შეიძლება, „ვერცხლის კომპანიების“ ერა გახდეს, ანუ ისინი დასპეციალდნენ მთელს მსოფლიოში გასაყიდად ორიენტირებული პროდუქციის ვიწრო ნომენკლატურის წარმოებაზე. მაგალითად, პემონტესა და სტრენიის ორი კლასტერი, რომელიც აერთიანებს სარქვლების, ვენტილებისა და ონკანების მწარმოებელ 350 კომპანიას, ქმნის დაახლოებით 40 მლრდ დოლარის ოდენობით პროდუქციას. ეს კომპანიები მოწყობილობებით უზრუნველყოფენ მანქანათმშენებლობის კლასტერს, რომელიც წარმოდგენილია 30 საწარმოსაგან შემდგარი ორი ჯგუფით. ალპებში, მონბლანის ძირას, მოქმედებს საფეიქრო კლასტერის 1300 საწარმო. ისინი აწარმოებენ ქიშმირის ქსოვილს, კერავენ ტანსაცმელს, ქმნიან დიზაინს, უშვებენ მოწყობილობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ იტალიამ შეცვალა კონკურენციის კონცეფცია, რომელმაც ამჟამად მიიღო **კონკურენტუნარიანობის ეროვნული სისტემის** დატვირთვა, ნაცვლად ქვეყანაში წარმოებული ცალკეული ნაკეთობების კონკურენტუნარიანობისა, რაც, არსებითად ახლებურად ახასიათებს მთელს საზოგადოებას. საგრძნობია სახელმწიფოს როლიც: ის ახორციელებს დახმარებისთვის გამიზნულ მართვას, ანუ უზრუნველყოფს ფასდაკლებებს ექსპორტზე, მხარდაჭერას, ინვესტორების მოზიდვას, კონსალტინგს. შექმნილია საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული და რეგიონული დონის ყველა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ყოველივე ამან იტალიას მისცა შესაძლებლობა, ეწარმოებინა 90%-მდე კონკურენტუნარიანი პროდუქცია.[2]

საფრანგეთში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო რთულად ხდებოდა მეურნეობრიობის ახალ ფორმებზე გადასვლა, იმდენად, რამდენადაც აქ ტრადიციულად ძლიერი იყო ცენტრალიზებული სახელმწიფო სექტორი, რომელშიც დასაქმებული იყო სამუშაო ძალის 25%, იწარმოებოდა პროდუქციის 30% და საექსპორტო საქონლის 1/4. 1995 წელს აქ მიიღეს ტერიტორიების მოწყობისა და განვითარების პროგრამა, შეიქმნა ტერიტორიათა განვითარების მართვის ორგანიზაცია და მათი მოწყობის ფონდი. 1997-1999 წლების განმავლობაში შემუშავდა და დამტკიცდა საწარმოო კლასტერების სისტემით გაერთიანებული რეგიონების განვითარების პროგრამების 99 პროექტი.

ამ საქმიანობისას 4,3 ათასმა საწარმომ წარმოქმნა განსაზღვრული ქსელური სისტემა, რომელმაც თავი მოიყარა 30 უმსხვილესი კომპანიის გარშემო. პროექტები ნაწილდება საკმაოდ პროპორციულად, მაგრამ ტერიტორიათა ნაწილი უფრო ინტენსიურად ვითარდება, კერძოდ: პირინეის სამხრეთი, რონაალპები, ფრანკონტე, ოვერნი, შამპანი, არდენი, პარიზი, ტულუზა, მარსელი, სენ-ეტიენი.

ტრადიციული სამრეწველო სექტორები (მანქანათმშენებლობა, საფეიქრო, ხის დამამუშავებელი, ავეჯის წარმოება) ნერგავს ტექნი-

[1] **Скоч, Александр.** Международный опыт формирования кластеров (Электронный ресурс) // Режим доступа: // http://intelros.ru.

[2] Новые формы организации инновационного процесса (Электронный ресурс) // Режим доступа: // http://subcontract.ru.

კურ სიახლეებს: ავტომატიზაციას, კომბინირებას, შეფუთვას, კადრების მომზადებას. ახალი წარმოებები ვითარდება მულტიმედიის სფეროში, მიკროელექტრონიკაში, ბიოტექნოლოგიაში. საწარმოები ურთიერთქმედებენ ლოზუნგით: „სისტემა მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ელემენტების ჯამი“.[1]

საფრანგეთში დაგეგმვის ეროვნული სააგენტოს შეკვეთით შესრულებულმა გამოკვლევამ (DATAR) შესაძლებელი გახადა 144 არსებული რეგიონული კლასტერისა და დაახლოებით 82 ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ან ვირტუალური ხასიათის კლასტერის იდენტიფიცირება.[2]

რეგიონული ინტეგრაციის განვითარება ხდებოდა დიდ ბრიტანეთშიც. XX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში გადაიხედა სამრეწველო პოლიტიკის პრიორიტეტები. ამის შედეგად ფორმულირებულ იქნა ე. წ. საპროგნოზო ტექნოლოგიური პროგრამა. უკვე 10 წელზე მეტია, შოტლანდია, უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია და ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთი წარმატებული რეგიონული დინამიკური განვითარების დემონსტრირებას ახდენენ ავტომობილების, ელექტრონიკის, ქიმიკატების წარმოებაში და ზოგიერთ ტრადიციულ სექტორში, მაგალითად, საკვები პროდუქტებისა და სასმელების, ტანსაცმლისა და საფეიქრო ნაწარმის წარმოებაში.[3]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გადადგა, იყო ქვეყნის ყველა რეგიონული კლასტერის გამოვლენა და კარტოგრაფია. აღსანიშნავია ბრიტანეთის კლასტერების რეგიონების მიხედვით განაწილების სპეციფიკა დიდი ბრიტანეთის სამხრეთის კლასტერები მომსახურების სფეროსკენ იხრება (პროგრამული უზრუნველყოფა, საქმიანი მომსახურება და ა. შ.), ჩრდილოეთის კლასტერები კი, ძირითადად, სასაქონლო წარმოების ბაზაზე ვითარდება. ლონდონი და ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი გამორჩეულია ყველაზე მაღალკონცენტრირებული და წარმატებით განვითარებადი კლასტერებით.[4]

აშშ-ის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეგიონების ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების რთულ სისტემაზე, რომელთა შორის ტერიტორიულ განლაგებასა და მაღალკვალიფიციურ პერსონალს მნიშვნელოვანი როლი აკისრია, თუმცა, არა გადამწყვეტი. გარდა ამისა, არც დარგობრივი სტრუქტურა, არც ახალი მაღალტექნოლოგიური დარგები სრულად არ განსაზღვრავენ რეგიონის ეკონომიკურ ზრდას. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველაზე დინამიკურად ვითარდებიან ის რეგიონები, სადაც ჩამოყალიბდა ე. წ. სამრეწველო, ანუ ინოვაციური კლასტერები – საწარმოთა (სამრეწველო კომპანიების, კვლევითი ცენტრების, სამეცნიერო დაწესებულებების), სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, პროფკავშირების (სპეციალიზებული მომწოდებლების ტერიტორიული კონცენტრაციის ბაზაზე), ტექნოლოგიური ჯაჭვით შეკავშირებული ძირითადი მწარმოებლებისა და მომხმარებლების კომპლექსები. ეს კომპლექსები სექტორალური (დარგობრივი) მიდგომის ალტერნატიულ მაგალითს წარმოადგენენ.

მაღალ კონკურენტუნარიანობასა და სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს ფაქტორები, რომლებიც სტიმულს აძლევენ ახალი ტექნოლოგიების გავრცელებას. ეს, უპირველესად, არის მეცნიერების, განათლების, დაფინანსების, სახელმწიფო პოლიტიკისა და მრეწველობის ურთიერთქმედების ხასიათი და სტრუქტურა. სიცოცხლისუნარიანობით გამორჩეული ინოვაციური აქტივობის კლასტერები იქმნება სექტორთაშორისი (დარგთაშორისი) კავშირების დივერსიფიკაციის საფუძველზე. ტექნოლოგიური ცოდნისა და კავშირების სხვადასხვა წყაროების მრავალფეროვნება აიოლებს წარმოების ფაქტორების კომბინაციას და ნებისმიერი ინოვაციის წინაპირობა ხდება.

ტერიტორიულ ინოვაციურ-სამრეწველო კლასტერებს საფუძვლად უდევს ახალი ცოდნის, ტექნოლოგიებისა და პროდუქციის გავრცელების განსაზღვრული მდგრადი სისტე-

[1] Новые формы организации инновационного процесса (Электронный ресурс) // Режим доступа: // http://subcontract.ru.

[2] **Скоч, Александр.** Международный опыт формирования кластеров (Электронный ресурс) // Режим доступа: // http://intelros.ru.

[3] **Руднева, П. С**. Опыт создания структурных кластеров в развитых странах (Электронный ресурс) // Экономика региона. 2007. № 18. Ч.2 (декабрь) Режим доступа: http//journal.vlsu.ru

[4] **Скоч, Александр.** Международный опыт формирования кластеров (Электронный ресурс) // Режим доступа: // http://intelros.ru.112 113

მა – ე. წ. ტექნოლოგიური ქსელი. რაც ეყრდნობა ერთობლივ სამეცნიერო ბაზას. კლასტერის საწარმოებს აქვთ დამატებითი კონკურენტული უპირატესობანი შიგა სპეციალიზაციისა და სტანდარტიზაციის განხორციელების, ინოვაციების დანერგვაზე დანახარჯების მინიმიზაციის გზით. ამგვარი კლასტერების მნიშვნელოვანი თავისებურებაა მათ სტრუქტურაში მცირე ბიზნესის მოქნილი სამეწარმეო ერთეულების არსებობა, რომლებიც ქმნის ზრდის ე. წ. ინოვაციურ წერტილებს.

ტერიტორიული სამრეწველო კლასტერები ძალზე მნიშვნელოვანია მეწარმეობის განვითარებისთვის რამდენიმე მიზეზის გამო. უპირველეს ყოვლისა, ისინი უზრუნველყოფენ ფირმების სპეციალიზაციის მაღალ ხარისხს. ეს მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს, შექმნან ახალი ფირმები, რომლებიც მოემსახურება კონკრეტულ სამრეწველო ნიშას. ამასთანავე, კლასტერის შიგნით სტრუქტურათა ვერტიკალური ინტეგრაციის დაბალი ხარისხი აიოლებს ამ უკანასკნელში ახალი ფირმების შესვლას. კლასტერულ სტრუქტურებში შესაძლებელია კაპიტალის ხელმისაწვდომობის მიღწევა, რადგან ფირმების გეოგრაფიულ კონცენტრაციას მეტი მიზიდულობის ძალა აქვს „ბიზნეს-ანგელოზებისა“ და ვენჩურული კაპიტალისტებისათვის, რომელთა უმრავლესობამაც თავიანთი კარიერა გაიკეთეს ამ კლასტერებში განთავსებულ მრეწველობის დარგებში. მრავალრიცხოვანი ფირმების სიახლოვე გულისხმობს იდეების გაცვლასა და ცოდნის გადაცემას კლასტერში შემავალი ფირმების სპეციალისტებისგან.

აშშ-ში რეგიონული ინოვაციური კლასტერების ჩამოყალიბება და განმტკიცება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული პრიორიტეტია.[1]

აშშ-ში მ. პორტერმა პირველმა შეიმუშავა კლასტერული მოდელი. კლასტერების ფორმირების პროცესს სათავეში ჩაუდგნენ შტატები: არიზონა, კალიფორნია, კონექტიკუტი, ფლორიდა, მინესოტა, ჩრდილოეთ კაროლინა, ოჰაიო, ორეგონი, ვაშინგტონი. მათ მიიღეს შესაბამისი პროგრამები; ასეულობით ქალაქმა და ტერიტორიამ შეიმუშავა თავიანთი კლასტერული სტრატეგია. კლასტერის ნათელი მაგალითია „სილიკონის ველი“, სადაც სპეციალისტების ხელფასი შეადგენს 125 ათას დოლარს წელიწადში. მასში დასაქმებულია 2,5 მლნ ადამიანი. ვენჩურულმა დაბანდებებმა 2001 წელს 68,8 მლრდ დოლარი შეადგინა (1991 წელს – 2 მლრდ დოლარი).[2]

არიზონას შტატში მ. პორტერის ცენტრის მონაწილეობით შემუშავდა სტრატეგიული თანამშრომლობის პროგრამა ეკონომიკური განვითარებისთვის, რის შედეგადაც გამოიყო კლასტერის 9 მოდელი.

1991-1999 წლების საქმიანობამ გვიჩვენა კლასტერების გადარჩენისა და სრულყოფის უნარი. ისინი ფუნქციონირებდნენ, როგორც ქსელური სტრუქტურები, რომელთა ძირითადი მიზანი იყო ერთობლივი სწავლება, მარკეტინგული საქმიანობის შესყიდვა, ჩატარება, წარმოება და ეკონომიკური სტრუქტურებისა და ფონდების შექმნა.[3]

შტატებში არსებობს კლასტერების შექმნის ინიციატივის კომისია. ანალიტიკურ მუშაობას ეწევიან სამეცნიერო ცენტრები და უნივერსიტეტები. კომისიები ანაწილებენ კლასტერების მონაწილეთა წილებს, ეხმარებიან წინაადმდეგობათა დაძლევაში, კლასტერების განმტკიცებაში. საწყისი კაპიტალი გამოიყოფა შტატის მიერ, შემდეგ მოიზიდება კერძო კომპანიების სახსრები. ამერიკული კლასტერებისთვის დამახასიათებელია მათი მონაწილეობა გლობალურ კონკურენციაში. პრიორიტეტულად ითვლება ინოვაციური მიდგომები, მუშაობა ეფუძნება თანამშრომლობის პრინციპებს.

ჩამოყალიბების პროცესში მყოფი კლასტერის საჭირო და მიზანშეწონილი სტრუქტურის განსაზღვრის ერთიანი მოდელის არარსებობის გამო აშშ-ში წარმოებს კლასტერული კომპლექსების ფართო და სიღრმისეული კვლევები. ფაქტორული და მატრიცული ანალიზის მეთოდიკის კომპონენტების გამოყენებით, აშშ-ის რეგიონული კვლევების ინსტიტუტის მკვლევარებმა სცადეს განეხილათ ეროვნული ეკონო-

[1] **Емельянов, С.** Стратегия развития науки и технологии в США в XXI веке (Электронный ресурс) // Проблемы теории и практики управления. 2002. № 1. Режим доступа: http://www.inti.kz.

2 **Руднева, П. С.** Опыт создания структурных кластеров в развитых странах (Электронный ресурс) // Экономика региона. 2007. № 18. Ч.2 (декабрь) Режим доступа: http// journal.vlsu.ru

3 **Руднева, П. С.** Опыт создания структурных кластеров в развитых странах (Электронный ресурс)// Экономика региона. 2007. № 18. Ч.2 (декабрь) Режим доступа: http//journal.vlsu.ru

მიკის პრობლემები არსებული კლასტერული გაერთიანებების პრიზმაში. დარგებს, კლასტერებს, კლასტერების სექტორებს შორის კავშირების ინტენსივობის კვლევების ჩატარებისას გამოიყო 4 ბლოკში გაერთიანებული 23 საწარმოო კლასტერული ჯგუფი, რომლებშიც

შედიოდა 5-დან 116-მდე მონაწილე სექტორი. ეს უკანასკნელი მოიცავდა 82-დან 102 ათასამდე საწარმოს მასში დასაქმებული 38 ათასიდან 4,5 მლნ-მდე ადამიანით, რომლებიც ქმნიდნენ დამატებულ ღირებულებას 4,5-დან 324 მლრდ დოლარამდე.[1]

კანადის ეკონომიკის კლასტერული განვითარების გამოცდილება ხასიათდება მრეწველობის განვითარებული სტრუქტურის არსებობით, მისი მაღალი ინოვაციური მდგენელით, ასევე მაღალტექნოლოგიური კლასტერების შექმნის წარმატებული მაგალითებით.

კანადას დიდი გამოცდილება აქვს შემდეგი კლასტერული ინიციატივების რეალიზაციაში: ბიოტექნოლოგიური (მონრეალი, ტორონტო, ვანკუვერი, ოტავა, ჰალიფაქსი); საინფორმაციო-ტელეკომუნიკაციური (ვანკუვერი, კალგარი, კვებეკი და სხვ.); მაღალი ტექნოლოგიების (მონრეალი, ონტარიო და სხვ.); მულტიმედიური (მონრეალი, ტორონტო, ვანკუვერი); მეღვინეობის (ნიაგარა); კვების მრეწველობის (ტორონტო) და სხვ. საინტერესოა კანადის გამოცდილება კომპლექსური რეგიონული კლასტერების შექმნაში, რომლებიც აერთიანებს მთელ რიგ სამრეწველო კლასტერებს (ედმონტონი).

ბიზნესის კლასტერულ ინიციატივებს ხელს უწყობენ ხელისუფლების ყველა დონეზე: ფედერალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე, მაგრამ მხარდაჭერის ფორმები განსხვავებულია. იმავდროულად, კლასტერული სტრატეგია არის ქვეყნის ინოვაციური სტრატეგიის ნაწილი. მოცემული სტრატეგიის კოორდინაციას ახორციელებს ეროვნული კვლევითი საბჭო – სამეცნიერო-კვლევითი განვითარების ფედერალური სააგენტო. ის შედგება 20-ზე მეტი ინსტიტუტისა და ეროვნული პროგრამისგან, რომლებიც მოიცავენ დისციპლინათა ფართო სექტორს და სთავაზობენ მთელ რიგ მომსახურებას კანადის მთელს ტერიტორიაზე ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისთვის ადგილობრივ დონეზე.

კანადის ინოვაციური სტრატეგიის უმთავრესი მიზანია კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დარგში არსებული ნაშრომების ჩართვა მთავრობის, აკადემიებისა და კერძო სექტორის ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც გაზრდის საერთო ინოვაციურ პოტენციალს, კვალიფიკაციასა და ცოდნის დონეს. ეროვნული კვლევითი საბჭოს მიერ დასახული მიზნის მისაღწევად ამოქმედდა **ტექნოლოგიური კლასტერული ინიციატივები**. ეს იყო კანადის კომპანიებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაბალი დონის საპასუხო რეაქცია და რეგიონული ეკონომიკის გამოცოცხლების აუცილებლობა.

ამჟამად პროგრამით ამოქმედებულია სრულიად განსხვავებული ზომისა და განვითარების სტადიის კლასტერები, რომელთა შორისაა საგენეს ალუმინის ტექნოლოგიები, ედმონტონის ნანო-ტექნოლოგიები, სათბობის ტექნოლოგიების ვანკუვერის გაერთიანება, სასკატუნის კვების მრეწველობა, ვინიპეგის ბიოსამედიცინო ტექნოლოგიები, ოტავას ფოტონური ტექნოლოგიები. განათლების მონაცემები მოიცავს ძირითად დარგობრივ ადგილობრივ კომპანიებს, უნივერსიტეტებს, სამრეწველო გაერთიანებებს, კოლეჯებს, კვლევით ცენტრებს. ყოველი რეგიონული კლასტერული ინიციატივა იმართება ეროვნული კვლევითი საბჭოს რეგიონული წარმომადგენლების მიერ.

ეროვნული კვლევითი ცენტრის მონაწილეობით შექმნილი რეგიონული კლასტერული ინიციატივების განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ ყველა კლასტერი შედის რეგიონების ფარგლებს გარეთ გამავალ ქსელებში.

ცენტრის ტექნოლოგიური კლასტერული ინიციატივების კვალდაკვალ, კანადის მთავრობა ფედერალურ დონეზე მხარს უჭერს კლასტერებს ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის რეალიზაციაში, ეხმარება კომპანიებს საგარეო ბაზრებზე პროდუქციის გასაღებაში, სამუშაო ძალის ბაზრის რეგულირებაში, პერსპექტიული მეცნიერული კვლევებისა და გამოგონებების ინვესტირებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში, ინტელექტუალური საკუთრების დაცვაში და ა. შ.

კლასტერული პოლიტიკის მხარდაჭერა იგ-

[1] Новые формы организации инновационного процесса (Электронный ресурс) // Режим доступа: // http://subcontract.ru.

რძნობა კანადის პროვინციების დონეზეც. იგი გამოიხატება სამეცნიერო გამოგონებათა დაფინანსებაში, საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციაში, საგარეო ინვესტიციების მოზიდვასა და თანამდევი მომსახურების გაწევაში. პროვინციების დონეზე კლასტერული პოლიტიკის მართვაში წამყვანი როლი აკისრია რეგიონული განვითარების სააგენტოებს – პროვინციების მთავრობასთან არსებულ მმართველ კომპანიებს. სააგენტოების მონაცემები ერთგვარი საძირკველია კლასტერული ინიციატივების წარმოქმნისა და მხარდაჭერისთვის, ისინი აყალიბებენ რეგიონის განვითარების სტრატეგიას და ქმნიან ბიზნეს-გეგმებს უახლოესი მიზნების მისაღწევად.

რეგიონული განვითარების სააგენტოების მთავარი ამოცანებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

1. კლასტერის პოტენციური სტრატეგიული შესაძლებლობების განსაზღვრაში კომპანიების დახმარება და ანალიზი იმისა, თუ როგორ შეიძლება მათი უკეთ გამოყენება;
2. კლასტერის მთავარ მონაწილეებს შორის თანამშრომლობის აგების ინსტიტუციონალური ან ქსელური მექანიზმების შემუშავება;
3. კვლევით ორგანიზაციებსა და კომპანიებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხარისხის ამაღლება, ასევე დახმარება გამოგონებათა კომერციალიზაციაში;
4. ინვესტიციების მოზიდვა კლასტერში დაფინანსების საინვესტიციო წყაროების დეფიციტის დასაფარავად;
5. ინფრასტრუქტურის სრულყოფა;
6. კლასტერის მონაწილეთა დონის ასამაღლებლად დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და რეალიზაცია;
7. მომწოდებელთა ჯაჭვის განვითარება;
8. ახალი ბიზნესინიციატივების განვითარების მხარდაჭერა.

კლასტერული პოლიტიკის რეალიზაციაში განსაკუთრებული როლი ეკისრება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. მათ ამოცანებში შედის საკითხთა ფართო სპექტრი, საგანმანათლებლო პროგრამების შექმნით დაწყებული და კლასტერების საჭიროებებისათვის ყველა უმთავრესი ინფრასტრუქტურის განახლებით დამთავრებული. მუნიციპალურ დონეზე კლასტერული ინიციატივების რეალიზაციის მართვის ყველაზე წარმატებული მაგალითია დიდი ედმონტონის კლასტერული განვითარების პროექტი, რომელიც, არსებითად, მსხვილი რეგიონული კლასტერის შექმნის უნიკალური მაგალითია.[1]

კლასტერების შექმნის პროცესის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია **იაპონიის** ეკონომიკის გამოცდილება, რომელიც თავდაპირველად ეფუძნებოდა მთელ რიგ მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოების ქსელს შორის სუბსაიჯარო და სუბსაკონტრაქტო კავშირების სისტემის შექმნას. ტიპური მსხვილი იაპონური კლასტერი შედგება ერთი, შედარებით მსხვილი სათავო საწარმოსაგან, რომელიც სარგებლობს გეოგრაფიულად მასთან ახლოს განლაგებული სუბსაიჯარო ფირმების ორი ან სამი დონის მომსახურებით. ვერტიკალური ინტეგრაციის ნაცვლად, პირველ

ლი დონის დამოუკიდებელი სუბმოიჯარეები სათავო საწარმოსთან დაკავშირებული არიან გრძელვადიანი ხელშეკრულებებით. ანალოგიურადაა მოწყობილი პირველი და შემდგომი დონეების მომწოდებლების კავშირები. მაგალითად, ფირმა „თოყოტა“-ს ავტოსამრეწველო კლასტერს აქვს მრავალსაფეხურიანი ქსელი, რომელიც შედგება 122 პირდაპირი მომწოდებლისა და თითქმის 36 ათასი სუბსაიჯარო მცირე და საშუალო საწარმოსგან. ყველა რგოლის სუბმოიჯარეები ქმნიან ახალბედებისა და უცხოელი კონკურენტებისთვის მაღალი საბაზრო ბარიერის მქონე ერთგვარ კლუბს. ეს მნიშვნელოვანწილად გამორიცხავს თავისუფალი ბაზრისთვის დამახასიათებელ პოტენციურ კონკურენციას, თუმცა ფასისმიერი ფაქტორი კომპონენტების შესყიდვისას ხელს უწყობს სუბსაკონტრაქტო წარმოების ოპტიმიზაციას.[2]

იაპონიაში კლასტერული გადაწყვეტილებების რეალიზაციის გამოცდილება არის კუნძულ ხოკაიდოში, სადაც XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში შეიქმნა სამრეწვე-

[1] Методические рекомендации по реализации кластерной политики в северных субъектах Российской Федерации (Электронный ресурс). Режим доступа: http://www/tpprf.ru

[2] **Бондаренко, В.** Малые предприятия в системе кластеров (Электронный ресурс) // Бизнес для всех. 2005 № 33. Режим доступа: http://www. businesspress.ru

ლო კლასტერების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისა და განვითარების სტიმულირების ცენტრალური ორგანიზაცია[1]

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ ამჟამად, თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნა შეიძლება ეყრდნობოდეს მხოლოდ ინტეგრაციის პროცესებს, მ. შ. კლასტერების განვითარების გზით. ეს გამოცდილება განსაკუთრებით აქტუალურია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისა და განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომელთათვისაც ტექნოლოგიური პროგრესი ობიექტურ და გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. კლასტერებზე აგებული ეკონომიკა არის კონკურენტუნარიანი და ინვესტიციურად მიმზიდველი ეკონომიკის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონესა და ხარისხს და წარმოებაში რთავს არა მხოლოდ რეგიონის მსხვილ საწარმოებს, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესს. კლასტერული ტექნოლოგიების გამოყენება გასაკუთრებით პერსპექტიულია იმ ტერიტორიებზე, სადაც ბიზნესი და ხელისუფლება მრეწველობის კონკურენტუნარიანი დარგის შექმნას გეგმავს.

3.2. კლასტერები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

ტრანსფორმაციული ეკონომიკის სახელმწიფოებს ამჟამად გარკვეული გამოცდილება აქვთ კლასტერული ტექნოლოგიებისა და მექანიზმების განვითარებაში. **აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში** შეინიშნება მრეწველობის კლასტერიზაციის პროცესები. ვიშეგრადის ჯგუფის 5 ქვეყანაში (უნგრეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, სლოვენია) შემუშავებულია კლასტერიზაციის მხარდამჭერი სპეციალური პროგრამები. მასში მონაწილეობენ სხვა ქვეყნებიც, მ. შ. ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა.[2]

ორგანიზაცია **„ცენტრალური ევროპის ინიციატივამ“**, რომელიც 17 სახელმწიფოს აერთიანებს, შეიმუშავა კლასტერიზაციის პრინციპები ვიშეგრადის ჯგუფის ხუთი ქვეყნისათვის. აღნიშნული ორგანიზაცია ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებას ადგილობრივ და რეგიონულ პარტნიორებს, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის, ატარებს კლასტერების კვლევას,

ავლენს ძირითად პრობლემებსა და წინააღმდეგობებს კლასტერიზაციის განვითარების გზაზე, განსაზღვრავს კლასტერული ანალიზის ძირითად დებულებებს და მათ საფუძველზე შეიმუშავებს სტრატეგიული რეკომენდაციების კრებულს რეგიონებისთვის, ადგენს მათი განვითარების პერსპექტივებს და წყვეტს მათთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებმა შეცვალეს თავიანთი სახელმწიფო პოლიტიკის ორიენტაცია ევროპული ბაზრის მიმართულებით და წარმოადგენენ ყველაზე თანამიმდევრულ ჯგუფს კლასტერიზაციის რეალიზაციაში. აღნიშნულ სახელმწიფოებს აქვთ უფრო საიმედო მაჩვენებლები უცხოური ინვესტიციებისა და ინფლაციის შემცირების დარგში, ვიდრე გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნებს. აღმოსავლეთ ევროპის გარდამავალი ეკონომიკის 27 ქვეყნიდან ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებმა უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში შეძლეს გადაელახათ მეპის ის დონე, რომელიც მათ ჰქონდათ რეფორმების დაწყებამდე. ეს მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ახალი საწარმოო სისტემების – კლასტერების დანერგვით.[3]

აღნიშნულ სისტემას განსაკუთრებით მოერგო უნგრეთი. ამჟამად იქ ფუნქციონირებს 75 სამრეწველო პარკი, რომელიც აერთიანებს 556 კომპანიას 60 ათასი მომუშავით. სამრეწველო პარკებს აქვს ზოგიერთი პრივილეგია: ინფრასტრუქტურა, საგადასახადო დაბეგვრის დაბალი დონე. პროგრამის რეალიზაციის პრინციპები გულისხმობს კომპანიათა მხარდაჭერას, მხარეთა დაინტერესებას, ბაზარზე დამკვიდრებისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობას, დარგსა და ტერიტორიაში ინტეგრაციას, გამჭვირვალეობას. სამრეწველო პარკის განვითარება ნავარაუდევია 5 წლის განმავლობაში.

1996 წელს მიღებულ იქნა **რეგიონების ინდუსტრიალიზაციის პროგრამა**. მისი რეალიზაციისთვის გათვალისწინებულ იქნა და-

[1] **Руднева, П. С.** Опыт создания структурных кластеров в развитых странах (Электронный ресурс) // Экономика региона. 2007. № 18. Ч.2 (декабрь) Режим доступа: http// journal.vlsu.ru

[2] Новые формы организации инновационного процесса (Электронный ресурс) // Режим доступа: // http://subcontract.ru.

[3] **Асаул, Л. Н.** Строительный кластер -новая региональная производственная система (Электронный ресурс) // Экономика строительства. 2004. № 6. Режим доступа: http://www.mbrk.ru

ფინანსების სხვადასხვა წყარო: მეწარმეთა, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სახსრები, დეცენტრალიზებული რესურსები, სახელმწიფო ფონდები. სამრეწველო პარკების განვითარება საფუძვლად დაედო კლასტერების შექმნას. უნგრეთის შვიდი რეგიონიდან განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა პანონია, სადაც ინერგება პროგრამა „პანონიის საქმიანი ინიციატივა“. შეიქმნა რეგიონების განვითარების საკონსულტაციო საბჭო (TERET). ადგილობრივმა საბჭოებმა შეიმუშავეს მიკრორეგიონების განვითარების სამწლიანი პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს ტერიტორიების განვითარების უნიფიკაციას ევროსაბჭოს ნორმებთან, ასევე დეტალებსა და ადგილმდებარეობის სპეციფიკას. პროგრამის შემუშავებაში 250 ექსპერტი მონაწილეობდა.

პანონიის საბჭომ დადო ხელშეკრულებები ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან, სადაც შემუშავდა კონკრეტული პრიორიტეტები: შრომითი პოტენციალის განვითარება (განათლება), ტექნოლოგიური ნოვაციები, რეგიონის განვითარება, ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესება. შეიქმნა ოთხი კომიტეტი, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა 200 სპეციალისტი. პროგრამა „პანონიის საქმიანი ინიციატივა“ აქცენტს აკეთებდა საავტომობილო კლასტერის PANAC-ის განვითარებაზე, პარალელურად ვითარდება ხის დამუშავება, ტურიზმი, თერმული წყლების გამოყენება. განვითარების რეგიონული სააგენტო და ჰოლდინგი აერთიანებს სამ ფონდს, შრომითი პოტენციალის ცენტრებს, ასევე სამრეწველო პარკების ქსელს.

თუ პოლონეთსა და ჩეხეთში მრეწველობის კლასტერიზაციის პროცესი შედარებით ნელა მიმდინარეობს, **სლოვენიაში** 1996 წელს მიიღეს მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია, რომელიც კორექტირდა 1998 და 2000 წლებში. 1999-2003 წწ-ში შემუშავდა კლასტერების ეროვნული განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავდა სამ ეტაპს: პოტენციური კლასტერების იდენტიფიკაცია (1 წელი); კლასტერული პოლიტიკის განვითარება (1 წელი); პროგრამის რეალიზაცია (2,5 წელი).

პირველ ეტაპზე გამოიკვლიეს 55 ათასი საწარმო 46 დარგსა და 12 რეგიონში. ანალიზმა გამოავლინა სუსტი ქსელური კავშირები, ინფრასტრუქტურის არარსებობა, ასევე კლასტერიზაციის საკმარისი დონე და გამოცდილება.

პერსპექტივაში იგეგმება 10 კლასტერის შექმნა სატრანსპორტო დარგში, მშენებლობაში, ელექტრონულ ოპტიკაში, მარაგნაწილების, ავეჯის, საფეიქრო, ტურისტულ, ფარმაცევტულ, საყოფაცხოვრებო მოწყობილობათა წარმოებაში. ამჟამად სლოვენიაში რეალიზდება 130 პროექტი, მოიზიდება ინვესტიციები, იქმნება ინფრასტრუქტურა.[1]

ბულგარეთში, ეკონომიკის რეფორმირების ფარგლებში, 2003 წელს შემუშავდა კლასტერულ მოდელზე აგებული ბულგარეთის კონკურენტუნარიანობის ინიციატივა. 2004 წლის სექტემბერში დამტკიცდა ეკონომიკის განვითარების ეროვნული ინოვაციური სტრატეგია 2007-2013 წლებისთვის, რომელიც ეყრდნობა ინოვაციური კლასტერების საქმიანობის აქტივიზაციას. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ბულგარეთის სააგენტოს მონაცემებით, მოცემული ეტაპისათვის ყველაზე პრიორიტეტულია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, აგროსამრეწველო კომპლექსისა და მანქანათმშენებლობის ეროვნული კლასტერები.[2]

ალპების მთისწინეთში მდებარე იტალიის ჩრდილოეთი ნაწილი 1950-1960 წწ. უნიკალური საწარმოო სტრუქტურის – „ინდუსტრიული ოლქის“ (საწარმოო კლასტერის იტალიური მოდელი) სამშობლო გახდა. უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში სწორედ ამგვარი კლასტერები ინერგება აქტიურად რუმინეთში. ყოველწლიურად იქმნება დაახლოებით 1000 ახალი იტალიურ-რუმინული კომპანია.

ამჟამად „ინდუსტრიული ოლქები“ – რუმინეთის კლასტერები განლაგებულია:

- ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებში (საფეიქრო და ტანსაცმლის წარმოების კლასტერები);
- ბუქარესტის რაიონსა და ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (მანქანათმშენებლობის კლასტერები);
- ცენტრსა და ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში (ხის დამამუშავებელი კლასტერები);

[1] Новые формы организации инновационного процесса (Электронный ресурс) // Режим доступа: // http://subcontract.ru.

[2] **Соколенко, С. И**. О кластеризации в странах ОЧЭС (Электронный ресурс). Режим доступа: http://www/ucci/org/ua

- სამხრეთ რეგიონებში (კვების პროდუქტების წარმოების კლასტერები);
- ბუქარესტში (ქიმიური კლასტერები).
- ახალი კლასტერები იქმნება რუმინეთის ყველა რეგიონში.

ალპების მთისწინეთში მდებარე იტალიის ჩრდილოეთი ნაწილი 1950-1960 წწ. უნიკალური საწარმოო სტრუქტურის – „ინდუსტრიული ოლქის“ (საწარმოო კლასტერის იტალიური მოდელი) სამშობლო გახდა. სწორედ ამგვარი კლასტერები ინერგება აქტიურად **რუმინეთში** უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში. ყოველწლიურად იქმნება დაახლოებით 1000 ახალი იტალიურ-რუმინული კომპანია.[1]

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფართოდ გავრცელდა რეგიონულ დონეზე საწარმოო ურთიერთქმედების ორგანიზაციის კლასტერული პრინციპები. აღნიშნული მიდგომა ფართო შესაძლებლობებს ქმნის როგორც ადგილობრივი ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ისე რეგიონული ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობისთვის. ამჟამად კლასტერებზე დაფუძნებული რეგიონული განვითარების მიდგომა სულ უფრო აქტიურად ინერგება რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეუწონელია კლასტერების შექმნა დირექტიული გზით. მას ქმნის ბაზარი და კონკურენცია. სახელმწიფოს არ ძალუძს, აიძულოს საწარმოები, რომ გაერთიანდნენ კლასტერში, მას შეუძლია მხოლოდ შექმნას პირობები მათი წარუმატებული ფუნქციონირებისთვის – ინფრასტრუქტურა, სტიმული მისცეს კლასტერების განვითარებას ხელსაყრელი საგადასახადო პოლიტიკით, ინვესტიციებით.[2]

მაღალეფექტური ინდუსტრიული კლასტერების ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად დაჩქარდებოდა მსხვილი მიზნობრივი ინვესტიციების პირობებში. ნედლეულის მდიდარი ბაზა მრავალი უმნიშვნელოვანესი დარგის ინტეგრაციის საფუძველია. კლასტერები შეიძლება შეიქმნას რეგიონულ საფუძველზეც, სადაც შეინიშნება ურთიერთდაკავშირებული დარგების მაღალი გეოგრაფიული კონცენტრაცია. ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის კაპიტალისა და ტექნოლოგიების მოდინებას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით. არის სხვა გზაც – ძირითადი ეკონომიკური რეგიონების, ქალაქებისა და აგლომერატებისათვის განსაკუთრებული ზონების სტატუსის მინიჭება, სადაც უცხოელ ინვესტორებს ეძლევათ შეღავათები, თუკი ისინი განავითარებენ სპეციფიკურ სამრეწველო კლასტერებს.

კლასტერების შექმნისას გათვალისწინებული უნდა იქნას მათ შიგნით არსებული ვერტიკალური (მიმწოდებელი/მომხმარებელი) და ჰორიზონტალური კოოპერაციული და სხვა სახის სამეურნეო კავშირები (საწარმოო და სხვა რესურსების მოხმარების საერთო ბაზა, ერთიანი ან, მინიმუმ, მთლიანობაში შეთავსებადი ტექნოლოგიები და სხვ.) რეგიონულ დონეზე. პირველ ეტაპზე უნდა მოიზიდოს უმნიშვნელოვანესი „ნოუჰაუ“ და სხვადასხვა სამეწარმეო ჯგუფის ეფექტიანი ინტეგრაციის უნარის მქონე ტექნოლოგიები სხვა ქვეყნიდან. საქართველოში საჭიროა კონკურენტუნარიანი მომწოდებელი დარგების შექმნა სამრეწველო ცენტრებისა და ეკონომიკის სექტორების ირგვლივ (აგრობიზნესი, ჯანდაცვა, კომუნიკაციები, ტურიზმი, განათლება).

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი მაღალკონკურენტული ძირითადი დარგი შიგაკლასტერული ურთიერთქმედების შედეგად ყველაზე მეტად უწყობს ხელს თავისი მომწოდებლებისა და კლიენტების ქსელის განვითარებას. საშუალო და მცირე საწარმოები ქმნიან სატელიტურ წარმონაქმნებს მსხვილი ჯგუფების ირგვლივ და იქცევიან მათ მომწოდებლებად. კლასტერის მთავარი საწარმოების დივერსიფიკაციის შედეგად იქმნება ახალი დარგები, რისთვისაც იყენებენ სათავო კომპანიების ტექნოლოგიებსა და „ნოუჰაუს“.[3]

საქართველოს გარკვეულ რეგიონებშიც არსებობს სასურველი წანამძღვრები კლასტერების განვითარებისთვის ამა თუ იმ დარგში – ხელთა გვაქვს მწარმოებელი კომპანიების, მიმწოდებლების, სამეცნიერო-კვლევითი კომ-

[1] **Соколенко, С. И.** О кластеризации в странах ОЧЭС (Электронный ресурс). Режим доступа: http://www/ucci/org/

[2] **Ларионова, Н. А.** Кластерный подход в управлении конкурентоспособностью региона // Экономический вестник Ростовского государственного университета. 2007. № 1. Ч.2? გვ. 182-183.

[3] **Корчажкина, Д. А.**, Кластерные принципы на промышленном предприятии (Электронный ресурс) // Экономический вестник Бурятии. Режим доступа: http://journal.vlsu.ru.

პლექსის კონცენტრაცია, მოქმედებს ყოველი დარგისთვის სპეციფიკური გარეშე ფაქტორები, ხელისუფლების ორგანოები დაინტერესებული არიან მოცემული პროცესებით. იმ ტერიტორიებს, რომელთაც დღეისთვის მინიჭებული აქვთ განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების სტატუსი, ნამდვილად აქვთ პოტენციალი კლასტერების განვითარებისთვის.

თანამედროვე საქართველოსთვის კლასტერების კონცეფციის აქტუალობა ეჭვგარეშეა, რადგან:

- ყოფილ სსრ კავშირში შექმნილი სამრეწველო პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი თავიდანვე არ იყო ბაზარზე ორიენტირებული;
- გამალებით ინგრევა ქვეყნის ტექნოლოგიური პოტენციალი;
- დაბალია საქართველოს მრეწველობის ეფექტიანობა; განვითარებული ქვეყნებისგან ტექნოლოგიური ჩამორჩენის გამო ვერ იქმნება კონკურენტუნარიანი მეცნიერებატევადი პროდუქცია.

საქართველოში კლასტერული პოლიტიკის რეალიზაციის სხვა შემაფერხებელ ფაქტორებს განეკუთვნება:

- მცირე ბიზნესის არასაკმარისი განვითარება, შედარებით განუვითარებელი ინფრასტრუქტურული და ორგანიზაციული პირობები;
- ეკონომიკური საქმიანობის მთავარ სუბიექტებს შორის ნდობის დაბალი ხარისხი, რაც ყველაზე დაბალ ნიშნულს აღწევს ბიზნესისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებებში;
- საქართველოს ფაქტორული პირობების განხილვა (ძირითადად, იაფი რესურსების ხელმისაწვდომობა) კლასტერების წარმატებული განვითარების ძირითად დეტერმინანტად;
- საინფორმაციო გახსნილობის კულტურის არარსებობა, რაც იწვევს კლასტერების პოტენციური მონაწილეების უნდობლობას და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ჩამოყალიბებას;
- წარმოების დაბალი კულტურა, აუტსორსინგის საფუძველზე მართვის გამოცდილების უქონლობა;
- ბიზნესკლიმატის დაბალი ხარისხი;
- ასოციაციური სტრუქტურების განვითარების დაბალი დონე (სავაჭრო პალატები, სამრეწველო ასოციაციები), რომლებიც თავს ვერ ართმევენ რეგიონული ბიზნესის პრიორიტეტებისა და ინტერესების შემუშავებისა და გატარების ამოცანას;
- დაგეგმვის მოკლევადიანი ჰორიზონტი – კლასტერის განვითარებიდან რეალური სარგებელი მხოლოდ 5-7 წლის შემდეგ მიიღება.

პოსტსაბჭოთა სივრცეში კლასტერების საფუძველზე საწარმოო სისტემების ფორმირების საკითხებში გარკვეული პროგრესი შეინიშნება **უკრაინაში**. ქვეყანაში 1998 წლიდან ხმელნიცკის ოლქში შექმნილია და მოქმედებს პირველი რეგიონული კლასტერები: სამკერვალო, სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი საწარმოების, ასევე, სამშენებლო კომპანიებისა და სამშენებლო მასალების მწარმოებელი. მათი ფუნქციონირების შედეგად მოხდა დადებითი სტრუქტურული ცვლილებები რეგიონში, რომელთაგან უმთავრესია საინვესტიციო კლიმატის შეცვლა.

პოდოლსკის კლასტერის საქმიანობა ეფუძნება გაწევრიანების ნებაყოფლობითობას და მცირე ბიზნესის ფინანსურ მხარდაჭერას. ამან გამოიწვია გამოშვებული პროდუქციის ინოვაციურობის ზრდა და არსებული რეგიონული ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტიანი რეალიზება.

უკრაინის პოდოლსკის რეგიონის სამშენებლო კლასტერი არის სამეწარმეო სტრუქტურების, სამეცნიერო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ნებაყოფლობითი დარგობრივი ტერიტორიული გაერთიანება, რომლის მთავარი მიზანია საკუთარი პროდუქციის, სამუშაოსა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. იგი აერთიანებს დაახლოებით 30-მდე სამშენებლო საწარმოს, რომლებიც ასრულებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, აწარმოებენ სამშენებლო მასალებს, აპროექტებენ, ქმნიან დიზაინს და უზრუნველყოფენ სამშენებლო სამუშაოების სრული ციკლის შესრულებას „გასაღების ჩაბარებამდე“. კლასტერში ასევე შედის ინფრასტრუქტურის საწარმოე-

ბი და დაწესებულებები, რომლებიც კლიენტებს სთავაზობენ სავაჭრო, იურიდიულ, აუდიტურ, მარკეტინგულ, საინფორმაციო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით მომსახურებას.

მსგავსი გაერთიანებები დადებით გავლენას ახდენს არა მხოლოდ ცალკეულ ორგანიზაციებზე, არამედ მთელი რეგიონის ეკონომიკაზე. მისი საქმიანობის ორი წლის განმავლობაში ექსპლუატაციაში გადაიცა 10-ზე მეტი საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო დანიშნულების ობიექტი. 2003 წელს კლასტერის საწარმოებმა აითვისეს 3,85 მლნ დოლარის კაპიტალდაბანდება, შექმნეს 1404 ათასი დოლარის პროდუქცია და 480 ახალი სამუშაო ადგილი. ახალი ტექნოლოგიების დანერგვის წყალობით შემცირდა მშენებლობის ვადები, სამშენებლო სამუშაოების შრომატევადობა შემცირდა 15%-ით, საცხოვრებელი ბინის ღირებულება კი – 10%-ით. რეგიონში დამატებით მოიზიდა ინვესტიციები 750 ათასი დოლარის მოცულობით.

სამშენებლო კლასტერი გაერთიანებათა სხვა ტიპებისგან განსხვავდება წევრების მეტი ოდენობით და მიზნების ფართო სპექტრით. კლასტერი აერთიანებს საწარმოო პროცესის ყველა კომპონენტს: ნედლეულის მომწოდებლებით დაწყებული და საბოლოო პროდუქტის მომხმარებლებით დამთავრებული, მომსახურების სფეროსა და სპეციალიზებული ინფრასტრუქტურის ჩათვლით. გაერთიანების მთავარი მიზანია კონკრეტული ეკონომიკური შედეგის მიღწევა – კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. ეს ხელს უწყობს ყოველი ცალკე აღებული ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას და მთლიანად რეგიონის ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას.[1]

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, კლასტერის ხელმძღვანელი უნდა გახდეს არაკომერციული საზოგადოება, რომლის დამფუძნებლები იქნებიან კლასტერის მონაწილეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რეგიონის ხელისუფლების ორგანოები.

გამოყოფენ სამშენებლო კლასტერის ფუნქციონირების შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა, როცა მონაწილე ორგანიზაციებთან სათავო ორგანიზაციის ურთიერთქმედების შედეგად შემუშავდება ახალი ინფორმაცია, როგორც საქმიანი აქტივობის მამოძრავებელი ძალა. ეს მიიღწევა შემდეგი საკითხების ორგანიზებით:
   - ახალი ინფორმაციის გენერაციითა და გაცვლით (ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის მიწოდება ეფექტიანი ტექნოლოგიების, მასალებისა და მოწყობილობების დანერგვის ხარჯზე მშენებლობის ღირებულების შემცირების ღონისძიებების, სამამულო და უცხოური მასალების ძირითად სახეებზე ფასების კონიუნქტურის შესახებ; სემინარ-თათბირების, სასწავლო სემინარების ორგანიზაცია და ა. შ.);
   - საფინანსო სივრცის ერთიანობით (ჩათვლები საბიუჯეტო დავალიანებების დასაფარად, რაც გულისხმობს მის სრულ ლიკვიდაციას; კლასტერში შემავალი ორგანიზაციების განაცხადებით მიმწოდებლებსა და მოიჯარეებთან ურთიერთჩათვლების გატარება, რაც აუმჯობესებს მათ ფინანსურ მდგომარეობას);
   - ტექნოლოგიური და სამშენებლო სივრცის ერთიანობით (სამშენებლო კომპლექსის ტექნოლოგიური ერთიანობის შენარჩუნება; განსაზღვრულ წელს დაფინანსებული მშენებლობების ჩამონათვლის შეთანხმება);
   - სამართლებრივი სივრცის ერთიანობით (ქსელში შემავალი ორგანიზაციების მეთოდოლოგიური და საკონსულტაციო დახმარება ფინანსურ საკითხებში);
   - ორგანიზაციებისთვის დახმარების გაწევით მათი ეკონომიკური ინტერესების დაცვის, სამშენებლო საქმიანობაზე ლიცენზიის მიღებისა და ვადის გაგრძელების საკითხებზე;
   - ორგანიზაციებისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევითა და მეთოდური დახმარებით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სფეროში.

2. ერთიანი კომერციული და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელშიც შედის:
   - გასაღება და სერვისული მომსახურება, საჭირო რესურსების შეძენა;

[1] Асаул, Л. Н. Строительный кластер _ новая региональная производственная система (Электронный ресурс) // Экономика строительства. 2004. № 6. Режим доступа: http://www.mbrk.ru

- საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობა (მასალების მომზადების ორგანიზაცია სამუშაოთა შესრულებასა და მომსახურების გაწევაზე გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციებისა და საწარმოების საინვესტიციო-სამშენებლო საქმიანობაში მაქსიმალურ ჩართვას, ამაღლებს მათ კონკურენტუნარიანობას);
- საგარეო ეკონომიკური საქმიანობა (წარმოების სტრუქტურული გარდაქმნის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ტექნიკური თანხლებისა და ორმხრივად სასარგებლო პირობებში პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი საქმიანობის ორგანიზება).

3. პერსონალის პროფესიული დონის ამაღლება.

სამშენებლო კლასტერის ფუნქციონირების აღნიშნული პრინციპი, ხელმძღვანელი პერსონალისა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების გარდა, გულისხმობს ასევე შრომის სტიმულირებასა და მომუშავეთა სოციალურ დაცვას.

უკრაინაში პოდოლსკის რეგიონის სამშენებლო კლასტერის ფუნქციონირების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კლასტერში გაერთიანებამ მის მონაწილეებს მთელი რიგი უპირატესობები მიანიჭა.

ჯერ ერთი, გაფართოვდა სამშენებლო სფეროში ფინანსური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობები (კლასტერის ყველა მონაწილის ფინანსური შესაძლებლობების გაერთიანებით, ინვესტიციების გარედან მოზიდვით, გრანტების სახით დაფინანსებული პროექტების კონკურსებში ერთობლივი მონაწილეობით, საკრედიტო რესურსების მიღების გარანტიების უზრუნველსაყოფად ფინანსური შესაძლებლობების გაერთიანებით).

მეორე, შესაძლებელი ხდება სამშენებლო პროდუქციის თვითღირებულებისა და კლასტერში შემავალი ორგანიზაციების მომსახურების შემცირება. ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე საკუთარი წარმოების არსებობა ხელს უწყობს დანახარჯების შემცირებას ტრანსპორტირებაზე, პროდუქციის წარმოებაზე, სავაჭრო მომსახურებაზე, რაც, თავის მხრივ, აიაფებს საცხოვრებელი ფართისა და სარემონტო სამუშაოების ღირებულებას. უფრო მეტიც, არც პროდუქციის გასაღებას ექმნება პრობლემები – იგი მთლიანად გამოიყენება კლასტერში.

მესამე, პოდოლსკის რეგიონის სამშენებლო სფეროში მომუშავე დაახლოებით 30 საწარმოს გაერთიანებამ შესაძლებელი გახადა კლასტერის მონაწილეთა მიერ თავიანთი ინტერესების ეფექტიანი დაცვა ადგილობრივი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დონეზე. კლასტერების მონაწილეთა ძალისხმევით, კოოპერაციამ უზრუნველყო ხელისუფლების მხარდაჭერა და ნდობა. მაგალითად, ხმელნიცკის საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად შემუშავდა გრძელვადიანი პროგრამა „თანამედროვე ბინა“, რომელიც გეგმავდა 2003-2010 წლებში საოლქო ცენტრში 5 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას გაუმჯობესებული დაგეგმარებით.

მეოთხე, კლასტერის მონაწილეთა მიერ პროგრამა „თანამედროვე ბინის“ რეალიზაცია უზრუნველყოფდა სამშენებლო და მომიჯნავე დარგის ორგანიზაციათა მუდმივ დატვირთვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მრეწველობის აღორძინებას ოლქის ცალკეულ რაიონებში, სადაც თავმოყრილია მშენებლობაში გამოსაყენებელი სასარგებლო წიაღისეულის საბადოები. გარდა ამისა, მოცემული პროგრამის რეალიზაცია გულისხმობს ბინათმშენებლობის ახალი, კარკასულ-მონოლითური ტექნოლოგიის დანერგვას, რაც ძნელად მისაღწევი იქნებოდა ბაზრის პირობებში საწარმოების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებისას.

მეხუთე, რეგიონის დონეზე ორგანიზაციათა გაერთიანება ქმნის ურთიერთობების პრინციპულად ახალ დონეს, რომელიც ეფუძნება კლასტერის მონაწილეებს შორის წესიერებასა და ნდობას, ქმნის აზროვნების ახალ მოდელს.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ სამშენებლო ან ბინათსამშენებლო-კომუნალური კლასტერი წარმოადგენს კლასტერული მოდელის განსაკუთრებულ ფორმას იმდენად, რამდენადაც მშენებლობაც და ბინათსამშენებლო-კომუნალ-

[1] Бондаренко, В. Малые предприятия в системе кластеров (Электронный ресурс) // Бизнес для всех. 2005 № 33. Режим-доступа: http://www. businesspress.ru

ური კლასტერიც საქმიანობის ის სახეობებია, რომლებიც უპირველესად ორიენტირებულია შიგა ბაზარზე და მათ ძირითად პროდუქციას წარმოადგენს თანამედროვე კომფორტული საცხოვრებლის მშენებლობა და მომსახურება.

სამშენებლო სფეროში კლასტერების შექმნის ეკონომიკური ეფექტი განპირობებულია:

- საწარმოო-სამშენებლო კოოპერაციით, რომლის მეშვეობითაც ეფექტიანად გამოიყენება ქსელური პარტნიორების ერთობლივი პოტენციალი;
- საქმიანობის კონკრეტულ სახეებში სპეციალიზებული პარტნიორებისთვის სამუშაოთა ნაწილის გადაცემის გზით სამშენებლო პროდუქციის მოდერნიზაციაზე დანახარჯების შემცირებით;
- სამშენებლო წარმოების ნედლეულით, მასალებით, დეტალებით, კონსტრუქციებით უზრუნველყოფის პროცესის ეფექტიანობის ამაღლებით გრძელვადიანი პარტნიორული კავშირების დამყარების გზით;
- ცალკეული მმართველობითი ფუნქციების შესრულების ეფექტიანობის ამაღლებით შრომის დანაწილების, სამშენებლო პროფილის სპეციალიზებული ორგანიზაციების მოზიდვის ხარჯზე;
- სამუშაოთა ეფექტიანობის ამაღლებით გასაღებისა და სერვისული მომსახურების სფეროში;
- საინვესტიციო-საფინანსო კოოპერაციაში ქსელური პარტნიორების საიმედოობის ამაღლებით.[1]

პოდოლიეს ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ძალისხმევით, სამკერვალო კლასტერში გაერთიანებულმა ახალი მცირე და საშუალო საწარმოების ნაწილმა უარი თქვა უნიფორმების მასობრივ წარმოებაზე და შეუდგა საკუთარი სამოდელო ხაზების შექმნას. აღნიშნული სამკერვალო კლასტერის განვითარების შედეგად შეიქმნა 3 ათასამდე ახალი სამუშაო ადგილი. კლასტერის მონაწილეებმა შეძლეს მიეღწიათ საწარმოო და კომერციული წარმატებისათვის ბაზარზე. სამკერვალო კლასტერის საწარმოო შედეგებზე შეიძლება ვიმსჯელოთ, უპირველესად, ისეთი ირიბი მაჩვენებლის ფორმირებით, როგორიცაა მთელ უკრაინაში ცნობილი ხმელნიცკის ბაზრობაზე მოდური ტანსაცმლის ადგილობრივი ნამუშევრების მოცულობის აქტიური გაფართოება.

ხმელნიცკის ოლქში განსაკუთრებით აქტიურად ვითარდებოდა ტურისტული კლასტერები, რომლებიც ორიენტირებულია მდიდარი კულტურული და ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა და ადგილობრივი საქმიანი წრეების ინიციატივაზე. ამ მიმართულებით დადებით შედეგებს მიაღწიეს კამენცა-პოდოლსკის ტურისტულმა კლასტერმა და შედარებით ახალბედა ეკოაგროტურიზმის კლასტერმა შეპეტოვსკის რაიონის სოფელ გრიცევში.

აქ განსაკუთრებით განვითარდა ქალთა მეწარმეობა, ფართოდ გამოიყენება ადგილობრივი რეკრეაციული და ისტორიულ-კულტურული შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ, მიუხედავად სიძნელეებისა და წინააღმდეგობებისა, ინიციატო-რების მხრიდან მცირედი დაფინანსების პირობებში კლასტერების შექმნა კი არ ფერხდება, არამედ, პირიქით, სისტემურ და სტრატეგიულ ხასიათს იღებს.

მსოფლიოში იზრდება მოთხოვნა ორგანული მიწათმოქმედების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე, რომელსაც აგრომწარმოებლებისთვის ბევრად მეტი მოგება მოაქვს, ვიდრე ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გაყიდვას. თუ განვიხილავთ უკრაინის მაგალითს, ამ პირობებში, ძალზე მნიშვნელოვანია მის ცალკეულ რეგიონებში ორგანული მიწათმოქმედების ტექნოლოგიების დანერგვა. უკრაინაში პირველი ორგანული მიწათმოქმედების კლასტერისა და მასთან ახლოს მყოფი სოფლის ტურიზმის კლასტერისთვის განსაკუთრებით ვარგისია დუნაისპირა რეგიონი. საზოგადოებრივი ფერმერული ეკოლოგიური ორგანიზაციები გახდნენ ორგანული მიწათმოქმედებისა და მწვანე ტურიზმის კლასტერის შექმნის ინიციატორები.

ცენტრალიზებული გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა უკრაინაში ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ამას ვარაუდობდნენ ექსპერტები და პოლიტიკოსები. როგორც კვლევები გვიჩვენებს, ქვეყანაში, სამწუხაროდ, ჯერაც რჩება არახელსაყრელი სამეწარმეო კლიმატი და

[1] **Асаул, Л. Н.** Строительный кластер -новая региональная производственная система (Электронный ресурс) // Экономика строительства. 2004. № 6. Режим доступа: http://www.mbrk.ru

შეინიშნება გაუბედაობა ეროვნული და რეგიონული კონკურენტუნარიანობის ამაღლების პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში. ქვეყნისათვის სპეციფიკურ პრობლემად რჩება სიძნელეები ეკონომიკის ტრანსფორმაციის ინსტიტუციონალური პირობების შექმნაში.

კლასტერული ინიციატივების განვითარება უკრაინაში ითხოვს შემდეგი ამოცანების გადაუდებელ მოგვარებას:

- სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია ინოვაციური კლასტერული სტრუქტურების საფუძველზე;
- საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფილ იქნას მეწარმეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი საქმიანი გარემოს შექმნა, აქცენტინდეს ხელისუფლებასთან, ბიზნესთან, მეცნიერებასთან, განათლებასა და ინოვაციური ქსელური სტრუქტურების საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე;
- შეიქმნას კონკურენტუნარიანობის ეროვნული და რეგიონული საბჭოები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ ინოვაციური კლასტერული გაერთიანებებისა და სხვა ქსელური ფორმირებების პროექტების შემუშავებასა და რეალიზაციას;
- უზრუნველყოფილ იქნას ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა ინოვაციური ქსელური სტრუქტურების განვითარებასა და ფუნქციონირებაში მონაწილე სპეციალისტების მომზადება-გადამზადებისთვის;
- ჩატარდეს ფუნდამენტური კვლევები ქვეყანაში ეროვნული და რეგიონული საწარმოო კლასტერების ფორმირების პრიორიტეტების განსაზღვრისთვის.

კლასტერიზაციის პროცესების განვითარებაში დინამიკა შეინიშნება **სომხეთშიც**. განსაკუთრებით განვითარდა საიუველირო და ალმასის დამუშავების, კონიაკისა და ღვინის დამზადების, აგროსამრეწველო პროდუქტების, ლითონის ნაკეთობების, ასევე სამთო და ტურისტულ დარგში არსებული კლასტერები.

იქმნება ახალი კლასტერები საინფორმაციო ტექნოლოგიებში, რომლებიც ეწევა მომსახურებას აუტსორსინგის საფუძველზე. კლასტერებს დიდ დახმარებას უწევს როგორც მთავრობა, სომხეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქმიანი ორგანიზაციები, ისე სომხური დიასპორა, რომელიც აქტიურად ეხმარება ფინანსური რესურსებით და ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერტს.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა სომხეთის ფარმაცევტული კლასტერი, რომლის უნიკალურობა მდგომარეობს სამკურნალო ბალახებისგან დამზადებული მედიკამენტების წარმოებაში (ნატურალური სამკურნალო საშუალებების დამზადება შეადგენს კლასტერის მიერ წარმოებული მედიკამენტების მთელი მოცულობის 24%-ს).

შედარებით სწრაფი ტემპებით ვითარდება ორგანული მიწათმოქმედების კლასტერი, რომლის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია პირველ რიგში შიგა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და კონკურენციას უწევს თურქეთიდან შემოტანილ იაფ ბოსტნეულს.[1]

ყაზახეთში, ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიკაციის მიზნით, ჯერ კიდევ 2003 წელს დაამტკიცეს **ინდუსტრიულ-ინოვაციური განვითარების სტრატეგია 2015 წლამდე**. მას საფუძვლად დაედო ეროვნული კლასტერების ჩამოყალიბება ნავთობის, გაზის, კვებისა და საფეიქრო მრეწველობის, სამშენებლო მასალებისა და ტურიზმის, ინჟინერინგის, სატრანსპორტო-ლოგისტიკური მომსახურების სექტორებში. ცალკეული კლასტერების განვითარების პროცესების დაჩქარების საკითხები საზოგადოების ფართო განხილვის საკითხი ხდება. მას იხილავენ მთავრობის სხდომებზე (მ. შ. ქვეყნის პრეზიდენტის მონაწილეობით).

ყაზახეთის შესვლა უახლოეს წლებში მსოფლიოს 50 ყველაზე განვითარებული ქვეყნების რიცხვში, მისი განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ამ მიზნის მისაღწევად ქვეყანა ქმნის კლასტერულ გაერთიანებებს, რომელშიც სავაჭრო-სამრეწველო პალატებისა და სხვა საქმიანი სტრუქტურების ხელშეწყობით თავს უყრის მრეწველობის, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრების, სამეწარმეო სტრუქტურების პოტენციალს.

[1] Соколенко, С. И. О кластеризации в странах ОЧЭС (Электронный ресурс). Режимдоступа: http://www.ucci.org.ua

ყაზახეთის განვითარების უმთავრესი საფუძველია ნავთობისა და გაზის რესურსები. ამიტომაც დაწყებულია ეროვნული ნავთობქიმიური კლასტერის შექმნა, რომელიც ორიენტირებულია რუსეთის, აშშ-ის, ჩინეთის, ინდონეზიისა და აზერბაიჯანის კომპანიებთან თანამშრომლობაზე. ნავთობისა და გაზის ექსპორტის გარდა, კლასტერის ფარგლებში გათვალისწინებულია პლასტმასის, პოლიპროპილენისა და სხვა მასალების წარმოება.

თურქეთში ეკონომიკის კლასტერიზაცია XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ხორციელდება და ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში გახდა პოპულარული. რეგიონების უმეტესობის კლასტერული განვითარების სპეციფიკურობა იმაში გამოიხატება, რომ მათში იქმნება, ძირითადად, დაბალი ან საშუალო-ტექნოლოგიური კლასტერები დაბალი კვალიფიკაციის შრომის მაღალი ინტენსივობით. აღნიშნულის შედეგად წარმოიშვა ბევრი კლასტერი საფეიქრო, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საკვები პროდუქციის, ტარის, სუვენირების წარმოებაში. მხოლოდ ხუთმა უმთავრესმა რეგიონმა – სტამბოლმა, ანკარამ, იზმირმა, ბურსამ და ქოჩაელმა შეძლეს შეექმნათ წარმოების უნიკალური სახეები ორ მაღალტექნოლოგიურ კლასტერში.

კლასტერები განაწილებულია თურქეთის მთელ ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების განლაგების შესაბამისად. შემუშავდა და დამტკიცდა კლასტერიზაციის ეროვნული პროგრამა 2007-2008 წწ.

ჩინეთში ფართოდ განვითარდა სხვადასხვა დარგობრივი კლასტერი. საავტომობილო დარგში დაახლოებით 20 მლრდ დოლარის ინვესტირების შედეგად შეიქმნა საავტომობილო კლასტერი მომწოდებელთა ფართო ქსელით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, სამეცნიერო-კვლევითი ბაზით, ინჟინერინგული კომპანიებითა და ინოვაციების შემუშავების ცენტრებით.

მაგალითად, გუანდუნის პროვინციაში საავტომობილო კლასტერი იქმნება იაპონური მწარმოებლების Nissan, Honda და Toyota-ს ავტოსაამწყობო ქარხნების ირგვლივ. ჩინეთის მთავრობა აღნიშნულ პროექტში 6 მლრდ დოლარის ინვესტირებას გეგმავს. საავტომობილო კლასტერი ქალაქ გუანჩჟოუში, გუანდუნის პროვინციაში, რომელიც მოიცავს ასევე მეზობელ ქალაქებს – ფოშანს, შუნდეს, დუნგუანს, ამჟამად იკავებს პროვინციის თითქმის მთელ ტერიტორიას. Nissan, Honda და Toyota-ს ძირითადი კომპანიებია, რომლებმაც თავიანთი წარმოება გუანჩჟოუში[1] განათავსეს.

Nissan და უმსხვილესი ჩინური ავტომწარმოებელი Dongfeng ერთობლივი პროექტით აწარმოებენ მსუბუქ ავტომობილებს Sunny-სა და Tiida-ს. Nissan-ის საწამოო სიმძლავრეები განთავსებულია ხუადუს ოლქში გუანჩჟოუს მახლობლად.

Dongfeng Nissan Diesel Motor Corporation მოიცავს ასევე ინოვაციათა შემუშავების ქვედანაყოფს და საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრს. Dongfeng Nissan-ის მაკომპლექტებელი 72 მომწოდებლიდან 32 სამხრეთ ჩინეთში, გუანჩჟოუს მახლობლად მდებარეობს. ისინი უზრუნველყოფენ მაკომპლექტებელი მა

სალების მიწოდებას 70 %-ით. კონცერნ Nissan-ში შემავალმა მრავალმა კომპანიამ 2003-2005 წლებში თავისი წარმოება გუანჩჟოუში გადაიტანა. მათ შორისაა: Hitachi Unisia Automotive (ძრავების წარმოება), Kinugawa RubberIndustrial (კაუჩუკის წარმოება), Yorozu (მოდულების წარმოება), Calsonic Kansei (კონდიციონირების სისტემების წარმოება), Fuji Autotech (საავტომობილო სავარძლების წარმოება), Kanto Autoparts (ავტომობილების კორპუსების წარმოება) და ა. შ.

Toyota-სა და Guangzhou Automobile-ს ასევე აქვთ ერთობლივი საწარმო გუანჩჟოუში. Toyota-მ ქარხანა ნანშას ინდუსტრიულ ზონაში 2006 წელს დააფუძნა და დაიწყო მსუბუქი ავტომობილების Camry-ს წარმოება. Toyota-ს 30 მომწოდებელი კომპანია ასევე განთავსებულია ნანშაში. არაერთი მომიჯნავე კომპანიაა ასევე ქალაქებში – შუნდესა და ფოშანში, ნანშას მახლობლად. მეორე და მესამე დონის მომწოდებელი კომპანიები აწვდიან ავტომობილების მარაგნაწილებს და მაკომპლექტებელ მასალებს არა მხოლოდ Toyota-ს კორპორაციას, არამედ ისსან-სა და ონდა-საც. კორპორაციის ხელმძღვანელობა მომწოდებელი კომპანიებისაგან მოითხოვს წარმოების განთავსებას გუანჩჟოუს მახლობლად. Toyota მაღალ მოთხოვნებს უყენებს მაკომპლექტებელი მასალების ხარისხსა და ფასს. მომწოდებლები ვალდებუ-

[1] Бараболина, А. И. Формирование автомобильного кластера в Китае (Электронный ресурс) //Проблемы современной экономики. 2008 № 4 (24). Режимдоступа: http://www/m-economy.ru.

ლი არია, შეიძინონ ავტოკომპონენტები ჩინელ მწარმოებლებთან. მარაგნაწილების მწარმოებელი ჩინური კომპანიები აკმაყოფილებენ კორპორაციის მოთხოვნებს ხარისხსა და ფასზე და თავიანთ პროდუქციას აწვდიან ავტოსაამწყობო ქარხნებს პირველი დონის იაპონურ მომწოდებელ კომპანიებთან ერთად. კონცერნ Toyota-ში შემავალმა მრავალმა საწარმომ დააფუძნა თავისი წარმომადგენლობები გუანჩჟოუში. მათ შორისაა: Toyota Boshoku Foshan (ზეთის ფილტრების წარმოება), Takagi Auto Parts (პლასტიკური კომპონენტების წარმოება), Aisin Seiki Automative Parts (ძრავების წარმოება), Daiichi Bussan (საიზოლაციო მასალების წარმოება), Foshan Melx Leather (ტყავის გადასაკრავის წარმოება), Koyo Lioho Automative Parts (საკისარების წარმოება).

გუანჩჟოუში შეიქმნა მსხვილი საავტომობილო კლასტერი, რომლის მთავარი ამოცანაა პრაქტიკული პროექტების რეალიზაცია მწარმოებლებსა და მომწოდებლებს შორის. მოცემული კლასტერის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: მონაწილეთა შორის კომუნიკაციის ინტენსიფიკაცია; ავტოინდუსტრიისათვის აუცილებელი საქმიანობის სახეების აქტივიზაცია; კოოპერაციული პროექტების შესრულების შედეგად მიღებული ახალი ცოდნის გამოყენების მეშვეობით მომწოდებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება; კონკურენტუნარიანობის ამაღლება ახალი ბაზრების ათვისების ხარჯზე, მ. შ. საზღვარგარეთაც; ინოვაციების გამოყენება.

გუანჩჟოუს საავტომობილო კლასტერი ამჟამად ზრდისა და აქტიური განვითარების სტადიაშია. მთლიანობაში მის ტერიტორიაზე თავმოყრილია 300-ზე მეტი – ავტომაკომპლექტებელი მასალის მწარმოებელი ქარხანა და ნედლეულის მომწოდებელი. მათ შორისაა ფოლადის, კაუჩუკის, მარაგნაწილების, ელექტრონიკისა და აქსესუარების მწარმოებლები. ასევე ფართოდაა წარმოდგენილი წარმოებული პროდუქციის რეალიზაციასა და გასაღებაში დასაქმებულ ორგანიზაციათა ქსელი. ამჟამად ფუნქციონირებს 100 ასეთი კომპანია და მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება. კლასტერის ამჟამინდელი ლიდერების წარმატებით წაქეზებული ახალი კომპანიები, ბაზარზე გამოჩენისას, ცდილობენ დაიკავონ თავიანთი ნიშა საწარმოო პროცესში. ისინი პირველ ხანებში უზრუნველყოფილი იქნებიან ამჟამინდელი საავტომობილო გიგანტებისა და მთავრობის მხარდაჭერით. ამრიგად, საწარმოებს შორის კავშირები თანდათან გაფართოვდება სწორედ ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვის ხარჯზე, რაც აჩენს ახალ მოთამაშეებს ბაზარზე.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთში არსებობს ინოვაციური კლასტერების შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ბიზნესინკუბატორების სახით შექმნილ სპეციალურ სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო-ტექნიკურ პარკებში იქმნება განათლების ცენტრები. აღნიშნული კლასტერები მოიზიდავენ გრანტებს მთავრობისგან, ჩინეთის ვენჩურულ კაპიტალს, საუკეთესო თანამშრომლებს ჩინეთიდან და საზღვარგარეთიდან (უმთავრესად ევროპასა და აშშ-ში განათლებამიღებულ ჩინელებს).[2]

გლობალიზაციისა და მზარდი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში, კლასტერიზაციის პროცესი შეინიშნება სხვადასხვა **განვითარებად ქვეყანაში,** მაგ., ინდოეთში, ინდონეზიაში, მალაიზიაში, მექსიკაში, ნიგერიაში, ჩილესა და სხვ., ასევე არაბულ სახელმწიფოებში (მაროკო, იორდანია, ლიბანი, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები და სხვ.).[3]

ინდოეთში მოქმედებს 2000-ზე მეტი კლასტერი. კლასტერებს გააქვთ ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის 60 %-ზე მეტი, ზოგიერთი მსხვილი კლასტერი აწარმოებს ინდოეთში გამოშვებული პროდუქციის ცალკეული სახეების 90 %-მდე (ტანსაცმლის, საიუველირო და ტყავის ნაკეთობათა წარმოება). ინდოეთის მცირე საწარმოები ცდილობენ კონცენტრირებას დიდ ქალაქებში, მსხვილი სამრეწველო კომპანიების, მეტროპოლიების გარშემო, სადაც არის საკმაოდ დიდი სამომხმარებლო ბაზარი,

[1] **Бараболина, А. И.** Формирование автомобильного кластера в Китае (Электронный ресурс) // Проблемы современной экономики. 2008 № 4 (24). Режим доступа: http://www/m-economy.ru.

2 **Кокшаров А.** Внутреннее развитие через глобальную экспансию (Электронный ресурс) // Режим доступа: http://www.expert.ru

[3] **Бондаренко, В**. Малые предприятия в системе кластеров (Электронный ресурс) // Бизнес для всех. 2005 № 33. Режим доступа: http://www. businesspress.ru

შრომითი რესურსები და განვითარებული სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურა. სხვადასხვა კლასტერებში გაერთიანებული მცირე საწარმოების ოდენობა მერყეობს 40-50-დან 1700-მდე (დელის ტექნიკურ მოწყობილობათა წარმოების კლასტერი). განსაკუთრებით ეფექტიანია ინდოეთის მთავრობის მიდგომა კლასტრების საექსპორტო შესაძლებლობების ზრდის სტიმულირებისადმი მაღალტექნოლოგიური წარმოებისა და მომსახურების განვითარებაში (საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, პროგრამული უზრუნველყოფა, ფარმაცევტიკა და სხვ.). ამას ხელს უწყობს სახელმწიფო ტექნიკური პოლიტიკა, ცენტრალური სამთავრობო ორგანოებისა და რეგიონული და ადგილობრივი ადმინისტრაციების თანამშრომლობა, მათი დაინტერესება დაჩქარებული ეკონომიკური განვითარებით მსხვილი, საშუალო და მრავალი მცირე საწარმოს ურთიერთქმედების საფუძველზე. [1]

ამრიგად, გარდამავალი პერიოდის ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კლასტერების განვითარების იდეა არ უნდა იქნას აღქმული როგორც ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ინსტრუმენტი, როგორც კლასტერების შექნის ერთგვარი სახელმწიფო პროგრამა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არასწორად იქნება გაგებული ის, რომ კლასტერები შეიძლება, მიზანმიმართულად შეიქმნას პოლიტიკის ინსტრუმენტების მეშვეობით.

მრეწველობის მართვისადმი კლასტერული მიდგომა ძირეულად ცვლის სახელმწიფო სამრეწველო პოლიტიკის პრინციპებს. ეს განსაკუთრებით ეხება პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს და მოითხოვს სახელმწიფო მართვის აპარატის სრულ გარდაქმნას, ადგილობრივი ხელისუფლების მენტალიტეტის შეცვლას, ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სხვაგვარ ჭრილს – არა დარგების მიხედვით, არამედ ცალკეული ბაზრებისა და კომპანიების დონეზე.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, კლასტერები იშვიათად იქმნებიან ხელოვნურად და ნულიდან, ისინი იქმნებიან და ვითარდებიან ბუნებრივად იქ, სადაც არსებობს წანამძღვრები დარგთაშორისი საწარმოო კავშირების სახით.

პოლიტიკის როლი კი მდგომარეობს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის პირობების შექმნაში, ახალი ფირმების შექმნაში, ინოვაციების წახალისებაში, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაში და ა. შ.

ეკონომიკური სისტემების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური ზრდის კლასტერული კონცეფცია ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოში, რაც დაკავშირებულია გლობალიზაციის პროცესებთან, კომუნიკაციის საშუალებების განვითარებასთან, ქსელური სტრუქტურების აქტიურ ჩამოყალიბებასთან. ის ეყრდნობა საქონლის მწარმოებელი კლასტერების იდენტიფიკაციას, მათი ორგანიზებისა და ქსელური თანამშრომლობის სტიმულირებას. საქონლის მწარმოებელთა კლასტერი განიხილება, როგორც კომპლემენტარული, თანამშრომლობითი ურთიერთობების საფუძველზე ტერიტორიულად ურთიერთდაკავშირებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ქსელური სტრუქტურა (სპეციალიზებული მომწოდებლების, მ. შ. მომსახურების, ასევე მწარმოებლებისა და მყიდველების ჩათვლით), რომლებშიც ავტორები გაერთიანებული არიან სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის გარშემო. ის თანამშრომლობს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ დაწესებულებებსა და ორგანოებთან საწარმოების, რეგიონებისა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. **კლასტერიზაციის გზით ეკონომიკური ზრდის ფაქტორებია:**

1. სუბიექტების ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაცია, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი გზებით: კლასტერში ინტელექტუალური კაპიტალის გამსხვილება (ცოდნის, გამოცდილების, ჩვევების გადაცემა); კლასტერში მაღალკვალიფიციური პერსონალის მიგრაციის შედეგად „ნოუჰაუს“ დიფუზია, კლასტერის მონაწილეთათვის სასწავლო სემინარების ჩატარება; ინფორმაციის გამჭვირვალეობა; მოთხოვნილების ინტენსივობა, მომხმარებელთა არჩევნის შესახებ მონაცემთა მიღება; რთული ამოცანების გადაჭრის მეთოდების გაუმჯობესება; კვლევების ჩატარებისა და დანერგვისადმი მეტი მოქნილობა, სისწრაფე და ინოვაციათა დანერგვა; კლასტერის შემადგენლობაში მცირე ბიზნესის მოქნილი სამეწარმეო

[1] **Бондаренко, В.** Малые предприятия в системе кластеров (Электронный ресурс) // Бизнес для всех. 2005 № 33. Режим доступа: http://www. businesspress.ru.

სტრუქტურების არსებობის შედეგად შიგა სპეციალიზაცია და სტანდარტიზაცია; ინოვაციების დანერგვაზე დანახარჯების მინიმიზაცია; საერთაშორისო ტექნოლოგიური თანამშრომლობის ფარგლებში სიახლეების შეძენა.

2. მეწარმეობის განვითარება: მსხვილი მწარმოებლების მიერ სპეციალიზებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა და მომსახურებაზე მოთხოვნის შექმნის, აუტსორსინგის განვითარების ხარჯზე, როცა მცირე და საშუალო საწარმოები ქმნიან პროდუქციას, ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოსა თუ მომსახურებას კლასტერის მთავარი სუბიექტებისთვის.

3. თანამშრომლობის განვითარება ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის სფეროში, რაც ხელს უწყობს ტერიტორიების ეკონომიკურ განვითარებას.

4. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უცხოელ მომწოდებლებთან და ინვესტორებთან კლასტერის სუბიექტების

ქსელური თანამშრომლობისა და კლასტერიზაციაში სახელმწიფო-კერძო ამხანაგობების მექანიზმების წყალობით.

5. სუბიექტების მიერ ექსპორტის გაფართოება ერთობლივი მარკეტინგული პროგრამების, ასევე რეგიონის ექსპორტიორების ორგანიზაციული მხარდაჭერის ხარჯზე სახელმწიფო-კერძო ამხანაგობების ფარგლებში.

ამრიგად, ეროვნული ეკონომიკის განვითარების კლასტერული კონცეფციის უპირატესობანი იწვევს ქვეყანაში კლასტერული პოლიტიკის ფორმირების მეთოდების აუცილებლობას ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინებით. საქართველოს ეკონომიკა იმყოფება განვითარების ტრანსფორმაციულ ეტაპზე. ჩვენ მიერ ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა ქვეყანაში რეალური კლასტერების შექმნის შემაფერხებელი შემდეგი მიზეზები: კონკურენტებს შორის სამეცნიერო კვლევების, განათლების, მარკეტინგის სფეროში თანამშრომლობის არარსებობა; ბიზნესისა და ხელისუფლების მიერ კლასტერული კავშირების, ქსელური და სახელმწიფო-კერძო ამხანაგობების უპირატესობების არცოდნა; სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან პარტნიორული ურთიერთობების განუვითარებლობა; საწარმოებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის სუსტი კავშირი; საქართველოში სახელმწიფო-კერძო ამხანაგობების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა, პროფესიული კავშირების დაბალი ეფექტიანობა და რეგიონში კლასტერების სუბიექტების გამაერთიანებელი არაკომერციული ორგანიზაციის არარსებობა.

კლასტერული პოლიტიკის ფორმირების საზღვარგარეთული გამოცდილების მიხედვით ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: შეინიშნება ეროვნული თავისებურებებითა და მიღებული კლასტერული კონცეფციით განსაზღვრული კლასტერული პოლიტიკის უზრუნველყოფის მეთოდების მრავალფეროვნება; სახელმწიფოთა კლასტერული პოლიტიკა განსხვავდება სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობის მიერ კლასტერიზაციის პროცესის რეგულირების ხარისხით; ბევრ სახელმწიფოში კლასტერული პოლიტიკის ფორმირების მეთოდური საფუძვლები არ არის შემუშავებული. საზღვარგარეთის გამოცდილების მორგება საქართველოს ეკონომიკისათვის გამოიწვევს შესამუშავებელი კლასტერული კონცეფციის შესაბამისი **კლასტერული პოლიტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლების ფორმირების** აუცილებლობას.

უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური საკითხია კლასტერული პოლიტიკის აგრეგირების დონის დასაბუთება. მთავრობის მიერ კლასტერული ინიციატივების რეგულირებისთვის ოპტიმალურს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დონე, რაც დასტურდება შემდეგი გარემოებებით: ჯერ ერთი, სინერგეტიკის თვალთახედვით, სახელმწიფო, როგორც საზოგადოების თვითორგანიზაციის შედეგი, უნდა ქმნიდეს პირობებს მუდმივი თვითორგანიზაციისთვის მმართველობის რეგიონულ და მიკროდონეებზე; მეორეც, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები უფრო მობილურია, ვიდრე ეროვნული სამთავრობო ორგანიზაციები; მესამე, ადგილობრივი მთავრობა საკმაოდ კომპეტენტური და გამოცდილია ბიზნესთან პარტნიორულ ურთიერთობებში; მეოთხე, მათ თავიანთ განკარგულებაში არსებული ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების მეშვეობით შეუძლიათ არსებითი გავლენა იქონიონ შესაბამის კლასტერულ პროგრამებსა და ხარჯებზე.

რეგიონული კლასტერული პოლიტიკის მთავარი მიზანია რეგიონის მდგრადი განვითარებისთვის პირობების შექმნა და რეგიონული კონკურენტუნარიანობის ამაღლება კლასტერების ორგანიზაციისა და სახელმწიფო-კერძო ამხანაგობებისა და ქსელური თანამშრომლობის განვითარების გზით. საქართველოს რეს

პუბლიკაში კლასტერული პოლიტიკის სპეციფიკა უნდა ემყარებოდეს ქსელური თანამშრომლობისა და სახელმწიფო-კერძო ამხანაგობების ინსტიტუციონალური, ორგანიზაციული და ეკონომიკური მხარდაჭერის აუცილებლობას კლასტერების კონკურენტული უპირატესობების ძირითადი ფაქტორების ფორმირებაში – ინოვაციებში, განათლებასა და მარკეტინგში.

შემუშავებული კლასტერული კონცეფციის საფუძველზე განსაზღვრულია **რეგიონული კლასტერული პოლიტიკის ფორმირების შემდეგი პრინციპები:**

- პოლიტიკის ფორმირების მრავალდონიანობა (კლასტერული პოლიტიკა უნდა ხორციელდებოდეს მართვის სხვადასხვა დონეზე – ეროვნულ, რეგიონულ რეგიონთაშორის და მიკროდონეზე);
- კლასტერების ორგანიზაციული სტიმულირება (მთავრობა პირდაპირ კი არ უნდა ერეოდეს კლასტერიზაციის პროცესში, არამედ ქმნიდეს ორგანიზაციულ პირობებს ქსელური თანამშრომლობისა და სახელმწიფო-კერძო ამხანაგობის განვითარებისთვის);
- პერსპექტიული კლასტერების მხარდაჭერა (მიზანშეწონილია ეკონომიკური სტიმულების – შეღავათების, გრანტებისა და ა. შ. გამოყენება, განსაკუთრებით პერსპექტიული კლასტერების მხარდასაჭერად).

რეგიონული კლასტერული პოლიტიკის ობიექტად შემოთავაზებულია: 1. ეკონომიკური ზრდა (მთლიანი რეგიონული პროდუქტის (მრპ) და მრპ-ის ზრდის ტემპი); 2. კონკურენტუნარიანობა (საწარმოთა კონკურენტუნარიანობის საშუალო დონე); 3. ინოვაციური აქტივობა (ინოვაციურად აქტიური ორგანიზაციების ხვედრითი წილი, ინოვაციური საქონლის წილი წარმოების საერთო მოცულობაში).

პოლიტიკის გატარების **სუბიექტებია** ზეეროვნული, ეროვნული და რეგიონული დონის მმართველობითი ორგანოები. მმართველობის ზეეროვნულ ორგანოებს წარმოადგენენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და სხვ., რომლებიც აფინანსებენ დონორულ კლასტერულ პროექტებს. რეგიონულ დონეზე (ოლქი, ქალაქი, რაიონი) კლასტერული პოლიტიკის გატარების სუბიექტებად შეიძლება მოვიაზროთ ადგილობრივი სამთავრობო ადმინისტრაციული ორგანოების ეკონომიკის კომიტეტები და კლასტერების მხარდაჭერის სპეციალური სამთავრობო ორგანოები (ამჟამად ასეთი ორგანოები საქართველოში არ არის).

რეგიონებში კლასტერიზაციის პროცესის სახელმწიფო რეგულირების ორგანოდ შეგვიძლია განვიხილოთ და შევთავაზოთ კლასტერების კომისიის შექმნა საზოგადოებრივ საწყისებზე და მათი ჩამოყალიბება კლასტერული ინფრასტრუქტურის ორგანიზაციების წამყვანი მეცნიერებისა და სპეციალისტებისგან (მეწარმეობის, სამრეწველო ასოციაციის, სავაჭრო-სამრეწველო პალატის, მარკეტინგის ცენტრის მხარდაჭერის ცენტრი), ასევე ადგილებზე აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკებისგან. განსაზღვრულია კლასტერების კომისიის ძირითადი ამოცანები: ქვეყნის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის პროცესების ორგანიზაციული მხარდაჭერა, რომელიც მიმართულია კლასტერების განვითარებაზე რეგიონში; საქმიანობა კლასტერების შექმნისა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის ცვალებადი ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების გათვალისწინებით; ადმინისტრაციული ბარიერების დაძლევის ხელშეწყობა რეგიონში კლასტერების ორგანიზაციასა და განვითარებაში, კომუნიკაციების უზრუნველყოფა და კლასტერების სუბიექტების ურთიერთქმედება სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან სახელმწიფო რეგულირების საკითხებსა და კლასტერებისთვის შეღავათების მიცემაში.

კლასტერების კოლეგიალური მართვა გვესახება კლასტერების მართვის თვითრეგულირებადი ფორმების შექმნის გზით. საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება კლასტერების მართვის იურიდიული ორგანოს შექმნის

განსხვავებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები: სამრეწველო ასოციაციები, საზოგადოებრივი გაერთიანებები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, სახელმწიფო-კერძო ამხანაგობები, სააქციო საზოგადოებები.

საქართველოს რესპუბლიკაში კლასტერების ორგანიზაციის ყველაზე მისაღები იურიდიული ფორმაა ასოციაცია, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს: გაერთიანების მონაწილეთა საერთო მიზნების მიღწევას, წევრთა საწარმოო-სამეურნეო და ქონებრივ დამოუკიდებლობას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ამოცანების გადაწყვეტას და დაბალ ბარიერებს სუბიექტების გაწევრიანებისას. ჩვენ მიერ შემოთავაზებული კლასტერის ან კლასტერის სუბიექტების სამრეწველო ასოციაციის კონცეფცია (ასოციაციაში შეიძლება შედიოდეს რამდენიმე ერთი დარგის კლასტერის სუბიექტები) შეიძლება იყოს ის ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ქსელურ თანამშრომლობასა და სახელმწიფო-კერძო ამხანაგობას სამ ძირითად ჯგუფს შორის: კლასტერს (მის წევრებს), კლასტერიზაციის სახელმწიფო რეგულირების რეკომენდებულ ორგანოებსა (რომლის სახით შეიძლება განვიხილოთ კონკურენტუნარიანობის კომისია და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული კლასტერების კომისია) და საგარეო სტრუქტურებს (უცხოელი ინვესტორები და საერთაშორისო დონორები) შორის.

რეგიონული კლასტერული პოლიტიკის ამოცანები ფორმულირებულია შემდეგი მიმართულებებით: 1) რეგიონში კლასტერების ორგანიზაციის სტიმულირება; 2) ქსელური თანამშრომლობისა და სახელმწიფო-კერძო ამხანაგობების ფორმირება და განვითარება.

რეგიონში კლასტერების ორგანიზაციის სტიმულირებისთვის განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები: ბაზრის სუბიექტების ინფორმირების დონის ამაღლება კლასტერული ურთიერთკავშირებისა და ქსელური თანამშრომლობის უპირატესობების შესახებ; კლასტერების ორგანიზაციის პროცესის ინიცირება და მხარდაჭერა, კლასტერების განვითარება (ძირითადი სუბიექტების იდენტიფიკაცია და ჩართვა); კლასტერის სუბიექტების ავტორიტეტული საქმიანი ამხანაგობის შექმნა კლასტერების სამრეწველო ასოციაციების ფორმით; რეგიონში კლასტერული ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება; კლასტერების განვითარებისა და ორგანიზაციის რეგიონული პროგრამების შემუშავება; კლასტერული პოლიტიკის რეალიზაციის ღონისძიებათა დაფინანსება.

ქსელური თანამშრომლობისა და სახელმწიფო-კერძო ამხანაგობების ფორმირებისა და განვითარებისთვის აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაჭრა: რეგიონში კლასტერების იდენტიფიკაცია და ანალიზი; მეცნიერებაში, განათლებაში, მარკეტინგში კლასტერის სუბიექტების ქსელური თანამშრომლობის ეკონომიკური და ორგანიზაციული სტიმულირება ადგილობრივი ორგანოების დონეზე; ადგილობრივი ორგანოების ურთიერთქმედება კლასტერის სუბიექტებთან; კლასტერებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; საერთაშორისო თანამშრომლობაში დახმარება კლასტერების დონეზე; ხელისუფლების სხვა დონეებთან ურთიერთქმედების კოორდინაცია კლასტერების მხარდაჭერის საკითხებზე; ქსელური თანამშრომლობის პროპაგანდა საზოგადოებრივი ინსტიტუტების მეშვეობით.

კლასტერული სტრატეგიის შემუშავება კლასტერული პოლიტიკის ფორმირების ცენტრალური ეტაპია. ჩვენ მიერ დასაბუთებული კლასტერების ტიპოლოგიის გათვალისწინებით-შემოთავაზებულია კლასტერული სტრატეგიის ფორმირების მეთოდური რეკომენდაციები კლასტერის სასიცოცხლო ციკლის სტადიის, კლასტერული ურთიერთობების განვითარების ხარისხის, კლასტერული კავშირების ფორმირების მიზნებისა და პრიორიტეტების შესაბამისად. მაგალითად, ახლად წარმოქმნილი კლასტერებისთვის შემოთავაზებულია შემდეგი სტრატეგიები: კლასტერული მიდგომის შესწავლა და პოპულარიზაცია, კლასტერის წევრებს შორის კონსტრუქციული დიალოგისთვის ფორუმის უზრუნველყოფა, ინვესტიციების მოზიდვა კლასტერში, ქსელური თანამშრომლობის ეკონომიკური სტიმულირება. განვითარების სტადიაში მყოფი კლასტერებისათვის – მეწარმეობის მხარდაჭერა; დაფინანსების წყაროების, კლასტერში ტექნოლოგიების ტრანსფერტის პროგრამის გაფართოება; ერთობლივი მარკეტინგული კვლევების ჩატარება, ახალი პროდუქციის შექმნა კლასტერის სუბიექტების მიერ. დაცემის სტადიაში მყოფი კლასტერებისთვის –

ინვესტირების ახალი შესაძლებლობების მიცემა (ინვესტიციური პროექტების ბანკი, დაფინანსების ახალი წყაროები, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ღონისძიებები და ა. შ.).

ქვეყანაში რეგიონული კლასტერული პროგრამების დაფინანსების განხორციელება უნდა მოხდეს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხარჯზე, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების სახსრების დახმარებით.

ამრიგად, კლასტერული მიდგომის შემუშავებული მეთოდოლოგია სახელმწიფო მმართველობის სუბიექტებს შესაძლებლობას მისცემს, შეიმუშაონ ეფექტიანი კლასტერული სტრატეგიები, რომლებიც მიმართული იქნება ქსელური თანამშრომლობის, ბიზნესისა და ხელისუფლების პარტნიორობის უპირატესობების გამოყენებისკენ ეკონომიკური ზრდისა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

3.3. გლობალიზაციის პირობებში საზღვარგარეთის ქვეყნების კლასტერული პოლიტიკის გამოცდილება

გლობალიზაციამ საკმაოდ მძლავრი იმპულსი მისცა მსოფლიო ეკონომიკაში ძირეულ გარდაქმნათა პროცესს. მაღალი ტექნოლოგიების სფეროს აქტიურმა ზრდამ მსოფლიო გახადა ბევრად უფრო ურთიერთდამოკიდებული, ვიდრე ოდესმე. ეს ეხება არა მარტო მზარდ ურთიერთდამოკიდებულებას ეკონომიკურ ურთიერთობებში – ვაჭრობაში, ინვესტიციებში, ფინანსებსა და წარმოების ორგანიზაციაში გლობალური მასშტაბით, არამედ სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთკავშირსაც ორგანიზაციებსა და კერძო პირებს შორის მთელ პლანეტაზე.

თანამედროვე მსოფლიო გახდა უფრო დინამიკური და იმავდროულად, მკაცრი იმ ქვეყნების მიმართ, რომლებსაც არ აქვს ან არასაკმაოდ აქვს განვითარებული ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში მდგრადი ზრდის ეფექტიანი მექანიზმები. სწორედ ქვეყნის საშინაო პოლიტიკა რჩება საკვანძო, გადამწყვეტი ფაქტორი იმის გარკვევაში, იღებს თუ არა ქვეყნები სარგებელს გლობალიზაციიდან.

ამასთან დაკავშირებით, ჩნდება ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების იმ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების განხილვის მიზანშეწონილობა, რომლის მიზანია სახელმწიფოს, კომპანიის, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდა – დარგობრივი კლასტერების შექმნა.

საკუთრივ ეკონომიკის განვითარების ეფექტიან კლასტერულ მოდელს შეუძლია მყარად მოახდინოს ტექნოლოგიათა სიახლეების, „ნოუ-ჰაუს“, გამოგონებების გენერირება, აგრეთვე სხვა ქვეყნებში შემუშავებული ახალი პროცესების, ტექნოლოგიების, საქონლის მიმართ ადაპტირება.

კლასტერული განვითარების მსოფლიო გამოცდილებას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ დღეისთვის მიზანშეწონილია **გამოვყოთ კლასტერული განვითარების სამი „ცენტრი“ (რეგიონი),** კერძოდ კი:

1. ჩრდილოეთ ამერიკის რეგიონი;
2. დასავლეთ ევროპის რეგიონი;
3. აზიის რეგიონი.

მსოფლიოში კლასტერული სისტემების ამგვარი რეგიონული ტიპოლოგია განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა:

- ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განკერძოებული განვითარება;
- ეკონომიკის განვითარების ტრადიციებში კლასტერული განვითარების საფუძველზე დამკვიდრებული სპეციფიკა;
- განსხვავება ამა თუ იმ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფაში;
- განსხვავება მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურებში;
- ეროვნული (რეგიონული) ბაზრების განსხვავებული ტევადობა;
- პოლიტიკური ფაქტორის როლი სახელმწიფოს ფუნქციონირებაში და სხვ.

ჩრდილოეთ ამერიკის რეგიონი. ამ რეგიონისთვის დამახასიათებელია „კლასტერული განვითარების პროცესში ფედერალური მთავრობის მცირე ჩარევის“ ისტორიულად ჩამოყალიბებულ პოლიტიკაზე ორიენტაცია.

ექსპერტთა მოსაზრებების თანახმად, აშშ-ში ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთქმედება შეფასებულია, როგორც მეტოქეობრივი (შეჯიბრებითი) და არა პარტნიორული. აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურები თავს ვალდებულად არ მიიჩნევენ, თვალ-ყური ადევნონ მე-

წარმეთა წარმატებას ბიზნესში, თუკი ეს არ იწვევსმთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკისთვის სტრატეგიულად სახიფათო სიტუაციებს.
იმავდროულად, აშშ-ში არ არსებობს ისეთი პრობლემები, რომლებითაც დაკავებული უნდა იყოს სახელმწიფო (როგორებიც არსებობს ევროპისა და აზიის რეგიონებში), მაგალითად:

- ეროვნული ბაზრის მცირე ტევადობა;
- შეზღუდვები მრეწველობის ძალზე დივერსიფიცირებული დარგობრივი სტრუქტურისა და მთლიანობაში სახალხო მეურნეობის განვითარებაზე.

თუკი შევაფასებთ ჩრდილოეთ ამერიკის რეგიონის ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკის ზოგად თავისებურებებს სამრეწველო კლასტერების განვითარებასთან მიმართებით, მაშინ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ოფიციალურად ის არც ფორმულირებულია და არც ფორმდება ეროვნული ეკონომიკური სტრატეგიაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების მიერ შემუშავებული სახელმწიფო დოკუმენტების სახით.

იმავდროულად მიზანშეწონილია აღვნიშნოთ, რომ აშშ-ის მეცნიერებმა სხვებზე ადრე დაიწყეს რეგიონულ ეკონომიკათა განვითარების პრინციპების შესწავლა კლასტერული განვითარების საფუძველზე. ახლა კვლავ განვიხილოთ აშშ-ში კლასტერის მკაფიო მაგალითია – „სილიკონის ველი“.

სილიკონის ველი. სტენფორდის სამრეწველო პარკის ტერიტორია (ტექნოპარკი „სილიკონის ველი“) დღეისათვის მოიცავს 30 ქალაქსა და 4 საგრაფოს – რაიონის ნაწილს, მასზე განთავსებული 7000-ზე მეტი ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული კომპანიის შტაბ-ბინებით, 1,35 მლნ სამუშაო ადგილით და წარმოადგენს 2,5 მლნ ადამიანის საცხოვრებელ ადგილს. „სილიკონის ველის“ წარმოქმნის წყალობით კალიფორნიის შტატში აგრარული ეკონომიკური წყობა შეიცვალა ელექტრონულით. XX საუკუნის 90-იან წლებში კი განხორციელდა მაღალტექნოლოგიურ წარმოებათა ეკონომიკიდან ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკაზე გადასვლა.

„სილიკონის ველის“ განვითარება უწყვეტადაა დაკავშირებული სან-ფრანცისკოს ყურის ზონის განვითარებასთან, აშშ-ის და მთლიანობაში, მსოფლიოს ეკონომიკის განვითარებასთან. ეკონომიკური პოტენციალის მატებასთან ერთად იზრდება რეგიონის გავლენა მომიჯნავე ტერიტორიების განვითარებაზე. ველზე მომუშავე ადამიანთა განსახლების საზღვარი (160 კმ-ის რადიუსში) სცილდება „სილიკონის ველის“ გეოგრაფიულ ფარგლებს და აღწევს ქალაქებს – ლივერმორსა და სან-ფრანცისკოს. ასეთ სიტუაციაში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს აუცილებლად უნდა შეენარჩუნებინა ველის განვითარების მართვა საკუთარ ხელში და მოეხდინა პროცესების კოორდინირება როგორც ყურეში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

განვითარების რეგიონული სტრატეგიის ერთობლივი შემუშავების იდეა ეკუთვნის სანხოსეს მეტროპოლიის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელობას. 1992 წლის გაზაფხულზე მას მხარი დაუჭირეს ველის მაღალტექნოლოგიური ბიზნესის წარმომადგენლებმა და შექმნეს ერთობლივი საწარმო.

რეგიონული განვითარების ახალი ინსტიტუტის შექმნის პროცესმა რამდენიმე ეტაპი გაიარა:

I ფაზა – 1992 წლის იანვარ-ივნისი – რეგიონული ეკონომიკის ანალიზი, სტრატეგიული აუდიტი, რამაც თავისთავად გამოიწვია ინტერესი პრობლემის მიმართ.

II ფაზა – 1992 წლის ივლისი – 1993 წლის ივნისი – „თანამონაწილეობის სტრატეგიის“ რეალიზაცია პრობლემაზე ორიენტირებული განხილვის ამოქმედებით, რომელმაც მოიცვა ათას კაცზე მეტი. განხილვის მიზანი – XXI საუკუნის ამხანაგობის იერსახის კოლექტიური ძიება. სტრატეგიის პუბლიკაცია ასეთ ამხანაგობაზე გადასასვლელად.

III ფაზა – 1993 წლის ივლისი – 1995 წლის ივლისი – რეალიზაციის სტადია. არაკომერციული ორგანიზაციის – ერთობლივი საწარმო „სილიკონის ველის“ ქსელის (შემდგომში – ეს) – შექმნა განხილვის ფაზაში წარმოდგენილ ინიციატივათა რეალიზაციის მხარდასაჭერად და რეგიონის ეკონომიკურ საქმიანობასა და ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა ამხანაგობების წარმომადგენლებს შორის ურთიერთქმედების ორგანიზებისთვის.

ეს-ი იქმნებოდა როგორც ქსელების ქსელი. ორგანიზაციის ბირთვს წარმოადგენდა ის გამგეობა, რომელმაც გააერთიანა პირველ ორ

ფაზაში მონაწილე ინიციატივიანი ლიდერები, ხელისუფლების რეგიონული ორგანოების ხელმძღვანელები. გამგეობის ფარგლებში შეიქმნა ხელმძღვანელი საბჭო, რომელიც შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე განსაზღვრავდა, თუ რომელი იდეებისთვის მიეცა მსვლელობა და რომლისთვის – არა. შეიქმნა 12 დამოუკიდებელი ინიციატივა (მიმართულება), ყოველ მათგანს ჰქონდა თავისი გამგეობა, თანამშრომლების ანაზღაურებადი შტატები და მოხალისე თანაშემწეები.

IV ფაზა – 1995 წლის ივლისი – 1998 წლის დეკემბერი – მართვის გამარტივების მიზნით იმ მომენტისთვის მოქმედი 11 ინიციატივა ჯგუფდება სამ ტიპად:

- საქმიანი კლიმატი;
- ბიზნეს განვითარება და მეწარმეობის წახალისება;
- სოციალური ინფრასტრუქტურა და ცხოვრების ხარისხი.

საკონსულტაციო ჯგუფებმა შეიყვანეს **ეს**-ის გამგეობის წევრები, რომლებიც თავმჯდომარეობდნენ მუშა ჯგუფებში კომპანიის აღმასრულებელი დირექტორებიდან შერჩეულ მოხალისე თანაშემწეებს, ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელთა ჯგუფს და ხელმძღვანელ საბჭოს, რომელიც შემუშავებული ტერიუმების საფუძველზე განსაზღვრავდა, თუ რომელი ინიციატივებისთვის დაეჭირათ მხარი.

V ფაზა – 1998 წლის დეკემბერი – დღემდე – დარჩა მხოლოდ **ეს**-ს გამგეობას დაქვემდებარებული 3 გამსხვილებული საპროგრამო ინიციატივა. დანარჩენები ან გამოეყვნენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებად, ან შეერწყნენ ერთმანეთს.

„სილიკონის ველის ქსელის“ მისია გამოიხატება იმაში, რომ **ეს**-ის ველის მცხოვრებთ მისცენ შესაძლებლობა, წარმატებას მიაღწიონ ახალი წყობის ეკონომიკაში, გააძლიერონ ეკონომიკის დინამიკა და გაიუმჯობესონ ცხოვრების ხარისხი. მომავლის სახე (ვისიონ) – სტაბილური ამხანაგობა კოოპერაციაში მონაწილეობს მსოფლიო კონკურენტულ ბრძოლაში.

კლასტერების შექმნის ინიცირებისთვის ანალიზურ სამუშაოს ძირითადად ასრულებენ სამეცნიერო ცენტრები და უნივერსიტეტები. საწყისი კაპიტალი გამოიყოფა ამა თუ იმ სამეცნიერო ცენტრის ან უნივერსიტეტის შტატის მიერ, შემდეგ მოიზიდავენ კერძო კომპანიათა სახსრებს. ამერიკული კლასტერებისთვის დამახასიათებელია გლობალურ კონკურენციაში მონაწილეობა. პრიორიტეტებად მიიჩნევა ინოვაციური მიდგომები, ხოლო სამუშაო ემყარება პარტნიორობის პრინციპებს.

იმდენად, რამდენადაც არ არსებობს ერთიანი მოდელი ჩამოსაყალიბებელი კლასტერის აუცილებელი და მიზანშეწონილი სტრუქტურის განსაზღვრისთვის, აშშ-ში მიმდინარეობს კლასტერული კომპლექსების საგნობრივი კვლევა. მაგალითად, აშშ-ის რეგიონალურ კვლევათა ინსტიტუტის მკვლევრები ფაქტორული და მატრიცული ანალიზის მეთოდიკის კომპონენტების გამოყენებით შეეცადნენ განეხილათ ეროვნული ეკონომიკის პრობლემა არსებულ კლასტერულ გაერთიანებათა პრიზმაში. დარგებს, კლასტერებსა და კლასტერების სექტორებს შორის კავშირის ინტენსივობის კვლევისას გამოიყო 4 ბლოკად გაერ

თიანებული 23 საწარმოო კლასტერული ჯგუფი, რომლებშიც გაერთიანდა 5-დან 116-მდე სექტორი-მონაწილე; მათში შედიოდა 82-დან 102 ათას საწარმომდე და 38 ათასიდან 4,5 მილიონამდე დასაქმებული, რომლებიც ქმნიდნენ დამატებულ ღირებულებას 4,5 მლრდ აშშ-ის დოლარიდან 324 მლრდ აშშ დოლარამდე.

დასავლეთ ევროპის რეგიონი. მიზეზები, რომლებიც წარმოადგენენ დასავლეთ ევროპის რეგიონში პოლიტიკის პრინციპებისა და ამოცანების ფორმირების ობიექტურ წანამძღვრებს კლასტერულ ინიციატივათა განვითარებისა და რეალიზაციის სფეროში, შემდეგია:

- გასაღების ეროვნული ბაზრების საკმაოდ მცირე ზომა;
- ეროვნული ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობა;
- მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურათა გარკვეული ცალმხრივობა.

ზემოთ ჩამოთვლილმა მიზეზებმა ასახვა პოვა ეკონომიკურ განვითარებაში ჩარევის აქტიური მეთოდების შემუშავებაში სტრუქტურული და სხვა პრობლემების გადასაწყვეტად (რესურსების სტრატეგიული სახეების საგარეო მოწოდებაზე დამოკიდებულება, იმპორტის წახალისების მნიშვნელობა შიგა ბაზრის შეზღუდულობისას და სხვ.), ასევე ევროპის ქვეყნებ-

ში სხვადასხვა კლასტერული ინიციატივის შემუშავებაში და ა. შ.

ამასთანავე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ კლასტერების შექმნის ევროპული გამოცდილება ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია მსოფლიო პრაქტიკაში. უნდა ითქვას ისიც, რომ ევროკავშირში უკვე 1968 წელს შეიქმნა **ეკ**-ის რეგიონული პოლიტიკის გენერალური დირექტორატი, 1975 წელს – რეგიონული განვითარების ევროპული ფონდი, 1988 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეგიონალიზმის ქარტია, ფუნქციონირება დაიწყო რეგიონულ და ადგილობრივ ამხანაგობათა საბჭომ.

სპეციფიკური თვისება, რომელიც განასხვავებს დასავლეთ ევროპის რეგიონს ჩრდილოეთ ამერიკის რეგიონისაგან, არის ისტორიულად ჩამოყალიბებული მოქალაქეთა პოზიტიური დამოკიდებულება ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, რომელსაც უფრო მეტად შეუძლია გავლენის მოხდენა ეკონომიკის განვითარებაზე, ვიდრე, მაგალითად, აშშ-ში.

ამან ასახვა პოვა ცენტრალური ხელისუფლებისთვის სამეურნეო მნიშვნელობის ფუნქციების შედარებით დიდი ხარისხით დელეგირებაში, თუმცა ხელისუფლებასა და ბიზნესს, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის პრობლემა დასავლეთ ევროპაში მუდამ არსებობდა.

საჭიროა განვიხილოთ „სახელმწიფო – სამრეწველო ბიზნესის“ ურთიერთობათა ხასიათი, როგორც დასავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნების განმასხვავებელი თავისებურება. თუკი აშშ-ში ხდება მათი საკმაო დისტანცირება ერთმანეთისგან, დასავლეთ ევროპაში სახელმწიფო მუდმივად და საკმაოდ მჭიდროდ ურთიერთქმედებს მეწარმეებთან. ევროპულ სახელმწიფოს შეუძლია შექმნას ძლიერი სამრეწველო ან ინფრასტრუქტურული (ფინანსები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა) სექტორები, მაგრამ თავის პოლიტიკას არ აგებს ბიზნესში „ფართო ფრონტით“ დანერგვაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროპული მოდელისთვის უმეტესწილად დამახასიათებელია აქტიური დიალოგი ბიზნესთან, თუმცა მსხვილი კერძო სამრეწველო ფირმების სტრუქტურებში ფართომასშტაბიანი პირდაპირი შეღწევის გარეშე, რაც განასხვავებს მას აზიური მოდელის ურთიერთობისგან „სახელმწიფო – სამრეწველო ბიზნესი“. რა თქმა უნდა, ამის უდავო წანამძღვარია სახელმწიფოს ავტორიტეტი ევროპელ ბიზნესმენებს შორის, მათ მიერ სახელმწიფოს აღქმა „მრეწველობის ერთგვარ მეურვედ“.

შეიძლება ჩაითვალოს, რომ დასავლეთ ევროპის რეგიონი იქცა კლასტერულ მიდგომაზე დამყარებულ სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში ახალი იდეების შესამოწმებელ გარკვეულ „პოლიგონად“. „კონკურენტუნარიანი სამრეწველო პოლიტიკის“ იდეა სწორედ დასავლეთ ევროპის რეგიონში გაჩნდა.

აღსანიშნავია დასავლეთ ევროპის რეგიონში სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის გატარების მეთოდებისა და პრობლემების მსგავსების ნიშნები. საჭიროა აღინიშნოს ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების (ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი) განსაკუთრებით აქტიური როლი, რომელთაც მოახდინეს რიგი კლასტერული პროექტების ინიცირება.

კერძოდ, მიზანშეწონილია აღვნიშნოთ პროექტი „ფინეთის უპირატესობანი“, რომელსაც ასრულებდა ფინეთის ეკონომიკის ინსტიტუტი 1995 წელს. პროექტის ფარგლებში შეისწავლეს ეროვნული მრეწველობის მომავალი შესაძლებლობები, ასევე, მმართველობითი გადაწყვეტილებების ინფორმაციული უზრუნველყოფის შესაძლებლობები. ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მიერ მომზადდა დირექტივები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა და დამტკიცდა ეროვნული სამრეწველო სტატეგია; მან საშუალება მისცა, მოეხდინათ გადასვლა მაკროეკონომიკური რეგულირების პოლიტიკიდან სამრეწველო და ტექნოლოგიურ-კონკურენტულ პოლიტიკაზე, რომელიც დაფუძნებული იყო კლასტერების განვითარებაზე.

ანალიზს დაექვემდებარა ყველაზე პერსპექტიული დარგები. კრიტერიუმად აღებული იყო მდგრადი ექსპორტის არსებობა და უცხოური ინვესტიციების შემოდინება. განისაზღვრა „კლასტერული კარკასი“, რომლის შედგენასაც წინ უძღოდა დიდი სამუშაო. შეიქმნა სოფლის მეურნეობის, ფერადი მეტალურგიის, ენერგეტიკის, ტელეკომუნიკაციის, ეკოლოგიის, ჯანდაცვის, ტრანსპორტის, ქიმიის, მშენებლობის, სურსათის კლასტერული რუკები წარმოიქმნა გემთმშენებლობის კლასტერი. XX საუკუნის 90-იან წლებში ჩატარებული სამუშაოს შედე-

გად ფინეთის ეკონომიკა სრულიად გადავიდა ნელა მზარდი საბაზო დარგების მხარდაჭერიდან მაღალი ტექნოლოგიების ბაზაზე განვითარებად დარგებსა და კლასტერებზე.

დღეისათვის ეფექტიანი კლასტერის სანიმუშო მაგალითია **ქალაქი ოულუ ფინეთში, სადაც მდებარეობს კომპანია ოკია, რომელსაც მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია ამ სახის კომპანიებს შორის.** მისი ზეაღსვლა დაიწყო 1992 წელს, როდესაც მან გაყიდა თავისი კომპანიების ნაწილი და დაიწყო სპეციალიზება მობილური ტელეფონების გამოშვებაზე. მაშინ იგი უშვებდა 50 მლნ კომპლექტს წელიწადში, 1999 წელს გაყიდვათა მოცულობა გაიზარდა 5-ჯერ, ხოლო 2002 წელს მიაღწია 1 მლრდ კომპლექტს. ქალაქი ოულუ მდებარეობს პოლარულ წრესთან და ყოველთვის ცნობილი იყო, როგორც მეთევზეებისა და მეირმეების ქალაქი. ქალაქში ცხოვრობს 100 ათასი კაცი, აქედან 6 ათასი მუშაობს ოკია-ში. ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობის წარმოებით კომპანიამ, როგორც სათავომ, თავის გარშემო გააერთიანა 120 საწარმო, რომლებიც სპეციალიზდებოდა მიკროელექტრონიკასა და პროგრამულ უზრუნველყოფაში. მიკროელექტრონიკის განვითარებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა მეორე მიმართულება – სამედიცინო ტექნოლოგიათა სექტორი.

მაღალ ტექნოლოგიათა ცენტრის სამეცნიერო საფუძვლად იქცა ქალაქის უნივერსიტეტი, რომელიც 1950 წელს შეიქმნა. ევროპის ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო პარკი სწორედ ოულუში გაჩნდა 1982 წელს. „ტექნოპოლისმა“ მცირე და საშუალო საწარმოების გარემოცვაში თავისი საქმიანობა მიმართა ტელეკომუნიკაციის სფეროზე. უნივერსიტეტი გახდა კადრების „სამჭედლო“, ფირმის მუშაობაში სტუდენტები მონაწილეობას იღებენ უკვე მესამე კურსიდან. 1990 წელს შეიქმნა მედიაპოლისი, რომელიც ხელმძღვანელობდა მედიცინისა და ბიოტექნოლოგიების მიმართულებას. მასში თავისი მოღვაწეობის კოოპერირებას ახდენდა 50 კომპანია, რომლებიც დაკავებული იყვნენ ფარმაკოლოგიური პროდუქციის, სამედიცინო მოწყობილობის შემუშავებით, ასევე დიაგნოსტიკის აღჭურვით, ჯანდაცვის პროგრამული უზრუნველყოფით. ცოდნისა და მეწარმეობის ცენტრებმა მიიზიდა მრავალი მსხვილი საზღვარგარეთული ფირმა.

განვითარების შესამჩნევი ტემპი აირჩია ავსტრიის ეკონომიკამ, რომელშიც ამოქმედდა ტრანსსასაზღვრო კლასტერები გერმანიასთან, იტალიასთან, შვეიცარიასთან, უნგრეთთან, გააქტიურდა კავშირი საფრანგეთთან და დიდ ბრიტანეთთან. ავსტრიამ ეკონომიკური პოლიტიკისადმი საკუთარი მიდგომა შეიმუშავა, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი კლასტერულმა დაიკავა. საკვანძო ფაქტორი გახდა კვლევით ინსტიტუტებსა და სამრეწველო სექტორს შორის კავშირის განვითარების სტიმულირების პოლიტიკა, აგრეთვე რეგულატორული ბარიერების შემცირება ინოვაციურ პროგრამებში, კლასტერების სპეციალიზაცია და კონკურენტუნარიანობის ცენტრების ფორმირება. მამოძრავებელი ძალა იყო ინოვაციურ-კვლევითი პროგრამა (შემდგომში — TI).

XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში შემუშავდა ავსტრიის კლასტერიზაციის ზოგადეროვნული პროგრამა და დაიწყო მისი თანამიმდევრული რეალიზაცია. ეს პროგრამა (TIP) ერთდროულად იყო ინოვაციური, კვლევითი და კონსალტინგური. იგი ეფუძნებოდა ფედერალური მთავრობის ინიციატივას და მას ასრულებდა ეკონომიკურ კვლევათა ავსტრიული ინსტიტუტი ავსტრიულ კვლევით ცენტრთან კოოპერაციით.

ინდუსტრიას არ ექნება მომავალი, თუ ის არ ურთიერთქმედებს მეცნიერებასთან, არ ავითარებს წარმოებას, მომარაგებას და რეალიზაციას. რაციონალური და ეფექტიანი ბის კონკრეტული მაგალითი კლასტერული მოდელის საფუძველზე შეიძლება იყოს ავტომშენებლობის აღმავლობა ავსტრიაში. 2000 წელს დაახლოებით 30 ათასმა მომუშავემ საავტომობილო წარმოებაში, რომელიც კონცენტირებული იყო ორ კლასტერში – შტირიას და ზემო ავსტრიის მიწებზე – გამოიმუშავა 8,1 მლრდ აშშ-ის დოლარის პროდუქცია, ანუ წარმოების მთელი მოცულობის 10%-ზე მეტი.

შტირიის საავტომობილო კლასტერში შედის 110 ფირმა. ტექნოლოგიური ჯაჭვი გადაჭიმულია ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების, საკვანძო საწარმოო პროცესების, ლოგისტიკისა და პროგრამული უზრუნველყოფიდან წარმოების ნარჩენების გადამუშავებამდე. დადებულია პარტნიორული შეთანხმებები 200-ზე მეტ კომპანიასთან. შტირია გადაიქცა

საერთაშორისო ავტომშენებლობის ცენტრად, წარმოიქმნა სუბმომწოდებლების განშტოებული სფერო. გამოშვებული პროდუქცია მიეწოდება 40 საავტომობილო მარკას, რეგიონში ყოველწლიურად გროვდება 150 ათასი ავტომობილი.

1999 წელს ზემო ავსტრიის მიწის 307 ფირმამ გადაწყვიტა გაერთიანებულიყო შტირიის ფირმის მსგავსად. რეგიონში ამ დარგის ფირმათა 95%-ის გაერთიანებით კლასტერმა დაიწყო სწავლება (კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, სემინარების მუშაობის უზრუნველყოფა, ასევე კომპანიის შიგა სწავლების), საერთო კოოპერაციული პროგრამებისა და პროექტების განვითარება, სხვადასხვა სახის ორგანიზაციის შექმნა ტექნოლოგიის, მარკეტინგის გადასაცემად. საკვანძო რგოლად იქცა კომპანია, რომელიც შეიმუშავებს პროვინციის ტექნოლოგიურ პოლიტიკას. 2000 წელს ამ კლასტერში შევიდა დიზელების წარმოების კომპანიები, ხოლო 2001 წლის დასასრულისთვის შეიკრა მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიული ჯგუფი, რომელშიც შევიდა 350 სუბმომწოდებელი. მასში მუშაობს 80 ათას კაცზე მეტი, გაყიდვის მოცულობამ შეადგინა 1,5 მლრდ აშშ-ის დოლარი.

საკმაოდ საინტერესოდ გვეჩვენება სიცილიისა და სარდინიის კლასტერული განვითარების გამოცდილება, რომელიც ემყარება ინოვაციურ ტექნოლოგიებს. ისინი იტალიაში ყველაზე ჩამორჩენილ რეგიონებად ითვლებოდნენ, ამიტომ შეირჩა სიცილიის ტექნოლოგიური რევოლუციის გზა „სილიკონის ველის“ მსგავსად. განვითარების ძირითად რგოლად იქცა ფირმა „მიკროელექტრონიქსი“.

1980 წელს ზემოაღნიშნულმა კომპანიამ დაიწყო პროგრამის რეალიზაცია კოსტანიეს უნივერსიტეტთან ერთად, ფირმამ შექმნა ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების პერსპექტიულ მიმართულებათა სპეციალიზებული პროგრამები და საწარმოთა პერსონალის გადამზადების კურსები. კუნძული შეიყვანეს პრიორიტეტულ ზონაში გრანტებისა და სუბსიდიების მისაღებად.

1998 წელს კუნძული 6 წლით გაათავისუფლეს სოციალური გადასახადებისგან, რამაც საშუალება მისცა კუნძულზე განთავსებულ ფირმებს, შეემცირებინათ დანახარჯები ხელფასზე 30-40%-ით. კომპანიაში მომუშავეთა რიცხვი გაიზრდა 2-დან 4 ათას კაცამდე, სანარდო სამუშაო მიიღო კიდევ 4 ათასმა კაცმა, წარმოიქმნა ჩიპების წარმოების 200 მცირე საწარმო, თავიანთი ინვესტიციები რეგიონში გააქტიურა „ ოკია“-ს, „ლცატელ“-ის, „მინიტელ“-ის, „ჩანო“-ს ფირმებმა.

სარდინიაში გარდაქმნის ბირთვად იქცა ფირმა „თისცალი”-ი, რომელმაც განავითარა ინტერნეტტექნოლოგიები, ხოლო იმპულსი წამოვიდა ფიზიკის დარგში ნობელიანტი კაგლიარის უნივერსიტეტის – ჩარლო ღუბბიას-ის კვლევითი ცენტრიდან.

მთლიანობაში დასავლეთ ევროპის რეგიონში შეინიშნება რეგიონულ კლასტერულ ინიციატივათა შემუშავების პროცესის საერთაშორისო ინტეგრაციის ტენდენცია ევროპული გაერთიანების ეგიდით.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ასეთი პოლიტიკის შემმუშავებლები, ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების „პოლისმეიკერებისგან“ განსხვავებით, ხაზგასმით აყალიბებენ მას ევროპარლამენტისათვის განსახილველად გადასაცემ პროგრამულ დოკუმენტებში. ისინი ემყარება პრინციპს, რომ **ეკ**-ის საერთო-ევროპული სამრეწველო პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს რეგიონული მრეწველობის გარდაქმნას კლასტერულ განვითარებაზე დაფუძნებულ გლობალურად კონკურენტუნარიან, ინოვაციურ და ეფექტიან ინდუსტრიულ კომპლექსად.

აზიის რეგიონი. აზიის რეგიონის ეკონომიკაში ჩამოყალიბდა კლასტერების განვითარების თავისებური ტიპი. მასში არის ევროპული რეგიონისთვის დამახასიათებელი თვისებები და წანამძღვრებიც, მაგრამ, ამასთანავე, არსებობს წმინდა აზიური სპეციფიკური თავისებურებებიც.

ისტორიულად ამ რეგიონის მრავალი ქვეყანა მიეკუთვნება იმ ტიპის ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც ხასიათდებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ხანგრძლივი სტაგნაციით, მსოფლიო ბაზრებისგან იზოლირებით, აღმოსავლური ფეოდალური სახელმწიფო-წარმონაქმნების ტრადიციათა დიდი გავლენით.

აზიის რეგიონისა და დასავლეთ ევროპის რეგიონის მსგავს თვისებათა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ სახელმწიფო საწყისის აქტივობა კლასტერული ინიციატივების განვითარებასთან მიმართებით.

აზიის რეგიონის ქვეყნებში სახელმწიფო

ორგანოები თავიანთ მოვალეობად მიიჩნევენ აქტიურად და მიზანმიმართულად ჩაერიონ თავიანთი ქვეყნების ეკონომიკის მიმდინარე პროცესებში, ცდილობენ, უზრუნველყონ მისი დაცვა უცხოელი საქონელმწარმოებლების სახიფათო კონკურენციისგან და დაეხმარონ გარე ბაზრების ექსპანსიაში. ეს აქცენტი შეიძლება ჩაითვალოს აზიის რეგიონის სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის გარკვეულ სპეციფიკად იმ ქვეყნებში, რომელთაც განსაკუთრებით აქტიურად უნდა ებრძოლათ მსოფლიო ბაზრებზე უკვე დაკავებული „ნიშებისთვის" საკმაოდ კონკურენტუნარიანი კლასტერების აქტიური განვითარების მეშვეობით.

კლასტერულ გადაწყვეტილებათა ეფექტიანი რეალიზაციის განსაკუთრებით მკაფიო მაგალითია **იაპონიაში კუნძულ ხოკაიდოს გამოცდილება.** იქ, XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში, შეიქმნა სამრეწველო კლასტერების მდგრადი განვითარებისა და სტიმულირების უზრუნველყოფის ცენტრალური ორგანიზაცია. განვითარების პროცესში განისაზღვრა საქმიანი აქტივობის ზრდის დარგი, წარმოებს განხილვები, მზადდება პროექტები და პროექტის განვითარების გეგმა ყალიბდება მუშა ჯგუფი, იქმნება სამეთვალყურეო საბჭო.

კლასტერული განვითარება, რომელიც უმეტესწილად დამახასიათებელია განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებისთვის, უკვე შეინიშნება განვითარებად ქვეყნებშიც, მაგალითად, ინდოეთში, რომელიც თავისი ინოვაციების წყალობით აქტიურად მონაწილეობს მსოფლიო კონკურენციაში და წარმოადგენს პროდუქციის ექსპორტიორია.

ინდოეთში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ცენტრია ბანგალორი. მისი მცირე და საშუალო საწარმოები აქტიურად მუშაობენ ადგილობრივ სამეცნიერო ცენტრებთან და ინსტიტუტებთან. რეგიონში შეინიშნება მჭიდრო ურთიერთკავშირი ინჟინერინგის, ელექტრონიკის, ტელეკომუნიკაციის, თავდაცვის, მანქანათმშენებლობის მაღალტექნიოლოგიურ სექტორებსა და ინსტიტუტებს შორის. საჭიროა გავითვალისწინოთ მაღალპროფესიული სამუშაო ძალის არსებობა და ინოვაციური ტექნოლოგიური იდეების გენერაცია. ბანგალორის ინტენსიურ ტექნოლოგიათა ცენტრად გადაქცევაში გადამწყვეტ ფაქტორად გვევლინება ცენტრალური მთავრობის გადაწყვეტილება განვითარების პროგრამაში ჩართული საწარმოებისა და ინსტიტუტებისთვის სახელმწიფო ინვესტიციების გამოყოფის შესახებ, ასევე მთავრობის მონაწილეობა ამ პროცესში ბოლო 30 წლის განმავლობაში.

ბანგალორის მკვლევრებმა და ინჟინრებმა შეძლეს ტექნიკურ ინოვაციათა მდგრადი პროცესის ორგანიზება ადგილობრივი მრეწველობის მრავალ სექტორში. სახელმწიფო სექტორის მსხვილი საწარმოები აჩქარებდნენ პროგრესს, უზრუნველყოფდნენ კადრების მომზადებას, იდეათა გენერაციას და „ნოუჰაუს" დანერგვას.

ინდოეთმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტსისტემების განვითარებაში. ამას წინ უძღოდა, ერთი მხრივ, საწარმოებისთვის მეტად მძიმე ლიცენზირების სახელმწიფო რეჟიმის გაუქმება, ხოლო, მეორე მხრივ, სპეციალისტების მომზადების ისეთი სამეცნიერო ცენტრების შექმნა, რომლებიც დღეს ამერიკული ფირმების შეკვეთებზე მუშაობენ და უზრუნველყოფენ ინვესტიციათა შემოდინებას საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში. ყოველივე ამას ხელს უწყობდა რამდენიმე დეკრეტი:

- „ქვეყნის კომპიუტერიზაციის შესახებ" 1983 და 1986 წლებში;
- „საპროგრამო პროდუქტის სექტორის განვითარების შესახებ".

საკანონმდებლო დონეზე აღნიშნულია საპროგრამო პროდუქტის ექსპორტის, მისი განვითარების და კადრების მომზადების პრიორიტეტები.

გამოვლინდა ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ამ ინდუსტრიის განვითარებას და საწარმოთა შექმნას, ჩამოყალიბდა არაერთი მიდგომა დარგის განვითარებისთვის, ისეთი, როგორიცაა:

- გაფორმების პროცედურათა გამარტივება და ოპტიმიზაცია;
- სახელმწიფო დაწესებულებებში „ერთი ფანჯრის" პრინციპით მომსახურების შექმნა;
- ინფორმაციასთან მუშაობის ხელსაყრელი საბაზისო უზრუნველყოფა საწარმოო სიმძლავრეების ერთობლივი ინფრასტრუქტურის მეშვეობით.

1998 წელს შეიქმნა ეროვნული სპეციალ-

ური კომისია საინფორმაციო ტექნოლოგიათა და პროგრამული პროდუქტის განვითარების პერსპექტივების შესასწავლად, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს რეკომენდაციების შემუშავებას სწრაფი განვითარების და ამ დარგის მხარდაჭერის შემაფერხებელ დაბრკოლებათა აღმოსაფხვრელად. აგრეთვე დაფუძნდა „ინდოეთის პროგრამული პროდუქტების ტექნოლოგიური პარკების“ ორგანიზაცია ტექნოპარკების სისტემის დასანერგად და ექსპორტის ხელშესაწყობად აუცილებელი ინფრასტრუქტურული მომსახურების უზრუნველყოფით, მათ შორის კავშირგაბმულობისაც (მონაცემთა სწრაფმოქმედი გაცვლის სისტემა).

* * *

ამრიგად, განხილული გამოცდილება ადასტურებს, რომ მაღალტექნოლოგიათა თანამედროვე წარმოება შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ ინტეგრაციის პროცესებს: ჰორიზონტალურს, რეგიონულს, ვერტიკალურს. ახლა პროგრესი წინ მიიწევს არა განცალკევებული საწარმოების, არამედ მათი გაერთიანებების, ჯგუფების, კლასტერებისა და ქსელების მეშვეობით. ეს გამოცდილება განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, რომლისთვისაც ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნად გადაქცევა მსოფლიო ეკონომიკაში ობიექტური და მწვავე აუცილებლობაა.